619/3
1964

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლოგინი

№1 იანვარი 1964

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1

ქალაქი რუსთავი. წინათ მას მარტო მეტალურგთა ქალაქს უწოდებდნენ. ახლა კი იგი საქართველოს დიდი ქიმიის ფორპოსტადაც ითვლება. ალბათ ამიტომაც არის, რომ, რაც დრო გადის, სულ უფრო ხშირად გაიგონებთ მის შესახებ — „ქიმიკოსთა ქალაქიაო“.

და აი, ჩვენ რუსთავში ვართ.

მზით გადამწვარ ტიტველ ველზე, რომელიც ქალაქის ახლო ვეება უანგისფერ ფარდაგად იყო გაშლილი, რამდენიმე წლის წინათ ახალმა სიცოცხლემ დაისადგურა. ცისკენ აიჭრნენ კოშკებისა და საგრადიროების უცნაური, ფანტასტიკური სილუეტები, შენობებისა და ესტაკადების თვალწარმტაცი კონტურები. რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანამ დაიწყო „მინდვრის ვიტამინების“ — მინერალური სასუქების წარმოება.

მშენებლებმა და მემონტაჟეებმა სამი წლის წინათ დაიწყეს კაპროლაქტამის — სინთეზური ბოჭკოების დასამზადებელი ძვირფასი ნედლეულის — საწარმოო ნაგებობათა მშენებლობა. ეს მშენებლობა განსაკუთრებული მნიშვნელობის მშენებლობად გამოცხადდა. ეს იყო მღელვარებით, სიხარულითა და ზრუნვით აღსავსე დრო. და აი, ყველაფერი უკან დარჩა. გასული წლის 22 ოქტომბერს დილის 5 საათსა და 30 წუთზე დაიბადა პირველი ქართული კაპროლაქტამი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მხურვალედ მოულოცეს მშენებლებსა და მემონტაჟეებს ბრწყინვალე გამარჯვება.

კაპროლაქტამის წარმოებასთან ერთდროულად შენდებოდა სინთეზური ბოჭკოს ქარხნის კორპუსები. ეს ქარხანა იმუშავებს რუსთავის ნედლეულით. ორი დიდი ქიმიური ქარხნის ასეთი კოპერირება ჩვენს ქვეყანაში პირველად ხორციელდება. ამას ბევრი სარგებლობის მოტანა შეუძლია. საჭირო აღარ იქნება ყოველწლიურად ათასობით ტონა კაპროლაქტამის ტრანსპორტირება რესპუბლიკის გარეთ, საჭირო. აღარ იქნება ბევრი ტექნოლოგიური პროცესი, კერძოდ, კრისტალიზაციის პროცესი და ა. შ. რაც ყოველთვე 15-18 პროცენტით ამცირებს რუსთავის სინთეზური ბოჭკოს თვითღირებულებას იმ საწარმოებთან შედარებით, რომლებიც ამუშავებენ შემოტანილ კაპროლაქტამს.

ამუამად რუსთავში მუშაობს მხოლოდ სინთეზური ბოჭკოს ქარხნის საცდელი საწარმო. ეს თავისებური მინიატურული ქარხანაა. მიუხედავად ამისა, მისი პროდუქცია კაპრონისა და პალიამიდური ფისის სახით იგზავნება ჩვენი ქვეყნის მრავალ ქალაქში — მოსკოვში, რიგაში, ვოლოგდაში, დონის როსტოვში, კრასნოიარსკში და სხვ.

სახელოვან რუსთაველ ქიმიკოსებზე, დიდსა და განუწყვეტელ მშენებლობაზე, რომელიც ჩვენს ახალგაზრდა ქალაქში წარმოებს, მოგვითხრობს ეს ფოტორეპორტაჟი:

ეს კაპროლაქტამის საწარმოა — ამ საწარმოს მუშაკებს ჩვენ შესვენების წუთებში ვესტუმრეთ (სურათი 1).

„— გამარჯობა, სანატრელო სტუმარო!“ ამონიუმის სულფატის ეს მთა ამას წინათ აღიმართა. რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანამ მიიღო ძვირფასი მინერალური სასუქების პირველი ტონები. ეს დიდმნიშვნელოვანი პროდუქცია იქმნება კაპროლაქტამის წარმოების დროს დაგროვილი ნარჩენებისაგან (სურათი 2).

ეს ჭაბუკები და ქალიშვილები სასკოლო მერხებიდან და სტუდენტთა აუდიტორიებიდან მოვიდნენ რუსთავის სინთეზური ბოჭკოს ქარხნის საცდელ საწარმოში. ვალენტინა პოლივანოვა (მარცხნივ) გახდა საბრუნი საამქროს უფროსი, ლუბა კრავჩენკო და ლიანა გელაშვილი დამბრუნებელნი არიან, ლილი გასპაროვა (ცენტრში) — ცვლის უფროსია, გერმან ჩიუავაძე კი დანიშნულია წარმოების უფროსად (სურათი 3).



2

ჟიგი-ვოლოვა ქალაქი

ფოტო ე. პესოვისა და ო. თურქიანი



ეს გამჭვირვალე ჭავლი წყლით სავსე აბაზანაში რომ ხვდება, გადაიქცევა უმტკიცეს პოლიმიდურ „ძარღვად“. აბა სცადეთ და გაწყვიტეთ! (სურათი 4).

კაპრონის ძაფის მარცვლებად გადაქცევის ერთ-ერთი ეტაპი. ამ პოლიმერიდან კეთდება ძაფი ქალის წინდებისა და ავტომობილის საბურავების კორდისათვის (სურათი 5).

რით არ გვანან ისინი საახალწლო ნაძვის ხეებს? ქალიშვილები საცდელი საწარმოდან ქვეყანას ძვირფას საჩუქარს უმზადებენ. ეს „ნაძვის ხის სამკაულები“ გაშრობის შემდეგ გაიგზავნება ჩვენი სამშობლოს მრავალ ქალაქში (სურათი 6).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

რაბოჩი

№ 1 (150) იანვარი, 1964 წ.

გამოცემის XIV წელი.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და საინჟინერო-სამხატვრო ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

დიდი ქიმიის ჯოხიკონდელი

დეკემბრის ისტორიულმა პლენუმმა პარტიისა და ხალხის განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო ქიმიური ინდუსტრიის დაჩქარებულ განვითარებას, ქიმიის მიღწევების ფართოდ გამოყენებას სახალხო მეურნეობის ტექნიკური პროგრესისათვის, სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების შემდგომი გადიდებისათვის.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა პლენუმის ტრიბუნიდან განაცხადა:

„ქიმიის სასწაულებს უნდა დავაუფლოთ მინდვრის მშრომელები, მეცხოველეობის, მსუბუქი მრეწველობის მუშაკები, მრეწველობისა და მშენებლობის ინჟინრები, ტექნიკოსები და მუშები; დავაინტერესოთ ისინი, რომ შეისწავლონ ქიმია.

მხოლოდ იმ პირობით, თუ მშრომელთა ფართო მასებს ეცოდინებათ რას გვაძლევს ქიმია, ეცოდინებათ ქიმიური გზით შექმნილი მასალების თვისებანი, საქმეში მათი უნარიანად გამოყენება, შეეძლებთ გამოვიყენოთ მდიდარი შესაძლებლობანი, რომლებსაც ქიმია სახავს“.

რას გვაძლევს ქიმია დღევანდელ ეტაპზე?

ჩვენს ეპოქაში აღარ შეიძლება საჭირო რესურსების მხოლოდ იმგვარი სახით გამოყენება, როგორც ამას ბუნება გვთავაზობს. მრავალი ბუნებრივი პროდუქტი, რომლებსაც ჩვეულებრივ მცირე ღირებულება აქვთ და ზოგჯერ გამოყენებასაც ვერ პოულობენ, ქიმიური გადამუშავების შემდეგ ძვირფასი თვისებების მქონე საქონელს გვაძლევენ, რომლებიც შეუდარებლად მეტი ღირს, ვიდრე ბუნებრივი პროდუქტები და მისი ქიმიური გადამუშავება. ამ დებულების დასადასტურებლად რამდენიმე კონკრეტულ მაგალითს მოვიყვანთ.

ყველასათვის ცნობილია, რომ თანამედროვე სახალხო მეურნეობა უკაუჩუკოდ, ურეზინოდ ვერ იარსებებს. ათასობით ტექნიკურ დეტალს და საყოფაცხოვრებო ნივთს რომ თავი დავანებოთ, რეზინისა და კაუჩუკის გარეშე არ იქნებოდა არც ავტოტრანსპორტი და არც ავიაცია. აი ასეთი ძვირფასი რამ დიდი ხანია მიიღებოდა და ნაწილობრივ ახლაც მიიღება ბუნებრივი მასალიდან — კაუჩუკის ხის წვენიდან, რისთვისაც ტროპიკულ ქვეყნებში კაუჩუკის ხის პლანტაციებს აშენებენ.

იმისათვის, რომ მივიღოთ 1.000 ტონა ნატურალური კაუჩუკი, საჭიროა დავამუშაოთ 3 მილიონი კაუჩუკის ხე, რაზეც წლის განმავლობაში 5.500 კაცის შრომა იხარჯება. იგივე 1.000 ტონა კაუჩუკი რომ ქიმიური სინთეზით მივიღოთ, წელიწადში საჭიროა მხოლოდ 15 კაცის შრომა; ნედლეულად გამოიყენება ნავთობის ნარჩენები.

მეორე მაგალითი: ხის მერქნის 1 კუბური მეტრიდან ქიმიური გადამუშავების შედეგად მიიღება 160-165 კილო სინთეზური აბრეშუმი, ანუ 1.500 მეტრი აბრეშუმის ქსოვილი. ქიმიური რეაგენტების ხარჯი გადამუშავებაზე უმნიშვნელოა პროდუქციის ღირებულებასთან შეფარდებით, შრომა კი 6-7-ჯერ ნაკლები იხარჯება, ვიდრე ბუნებრივი აბრეშუმის ქსოვილის მიღების დროს.

აქ საინტერესოა ისიც, რომ ბუნებრივი კაუჩუკის გამოყენება მაინც მოითხოვს ქიმიურ გადამუშავებას: კაუჩუკი წმინდა სახით ცომისებური და წებოვანია. საჭიროა მისი გადაყვანა მყარ და დრეკად მასად, რომელსაც რეზინი ეწოდება. ამ ოპერაციებისათვის საჭიროა კაუჩუკის ვულკანიზაცია, ე. ი. მისი ქიმიური სტრუქტურის შეცვლა.

ბუნებრივი აბრეშუმიც განიცდის ზოგიერთი სახის ქიმიურ გადამუშავებას, ვიდრე მას სასაქონლო პროდუქციის სახით მიაწვდიდნენ მომხმარებელს.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ეძლევა თანამედროვე ქიმიის განვითარებაში ე. წ. პოლიმერული მასალების მიღებას. ეს ისეთი მასალებია, რომლებსაც დიდი მოლეკულური წონები აქვთ და ჩვეულებრივი ქიმიური ნაერთებისაგან განსხვავებით, განსაკუთრებული თვისებებით ხასიათდებიან. მაგალითად, მათ არა აქვთ გარკვეული დნობის ტემპერატურა, შესაფერ პირობებში იჩენენ პლასტიკურობას, დრეკადობას, წელადობას და სხვ. ბუნებაში მრავალია ასეთი მასალები, ე. წ. ბუნებრივი პოლიმერები: კაუჩუკი, კაზეინი (ხაჭოს და ყველის მთავარი ნაწილი), რქა, ხის მერქანი, მატყლის და აბრეშუმის ბეწვი, ტყავი და სხვ. ამ მასალებიდან ბევრი ხასიათდება დიდი მექანიკური სიმტკიცით, თუმცა მათ სიმაგრე შეიძლება დიდი არ ჰქონდეთ. სიმაგრე და სიმტკიცე ყოველთვის როდი შეესატყვისება ერთმანეთს. ფოლადის ცული, მაგალითად, მაგარიც არის და მტკიცეც, მინის ნაჭერი კი ადვილად ტყდება ხის დარტყმით, თუმცა ხეზე მაგარია **და ჭრის მას.**

თანამედროვე პოლიმერული ქიმიის ამოცანა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ადვილად გადასამუშავებელ პლასტიკურ მასალებს ერთდროულად გააჩნდეთ სიმაგრეც და დიდი მექანიკური სიმტკიცეც. ხელოვნურ პოლიმერებს ეკუთვნის ჩვეულებრივი მინაც. გამოირკვა, რომ მინის სიმაგრისა და სიმტკიცის შორის დიდი განსხვავება გამოწვეულია მინის ნაწარმის ზედაპირზე არსებული მიკროსკოპული ბზარებით, რომელთა გაყოლებითაც სკდება მინა დარტყმის დროს. ამჟამად მიღებულია ისეთი მინა, რომელსაც ეს ბზარები თითქმის აღარ გააჩნია და ჩაქუჩის დარტყმითაც კი არ იმსხვრევა. ასეთ მინას სიტალი შეარქვეს, ეს პირველი ნაბიჯია, როცა სიმაგრე და სიმტკიცე შეესაბამებიან ერთიმეორეს.

ამასთან დაკავშირებით, გვინდა გავიხსენოთ ქართველი ერის სიამაყის, უკვდავი რუსთაველის ერთი გენიალური აფორიზმი, რომელიც ავტორის მეცნიერული განჯისა და ღრმა აზროვნების შედეგს წარმოადგენს:

გასტეხს ქვასაცა მაგარსა
გრდემლი ტყვიისა ლბილისა.

ქვის ფიზიკური სტრუქტურა, ისევე როგორც მინისა, ხასიათდება ზედაპირული ბზარების სიმრავლით. აქაც ისეთივე წინააღმდეგობას აქვს ადგილი, როგორც მინაში. — სიმტკიცე არ შეესაბამება სიმაგრეს, რბილი ტყვია სტეხს მაგარ ქვას. ეს პრობლემა, ამჟამად მნიშვნელოვანწილად გადაწყვეტილი, ალბათ, შუა საუკუნეების ფილოსოფოსთა წინაშეც იდგა (როგორც მრავალი სხვა პრობლემა, რომელთაც დღესაც იკვლევს თანამედროვე მეცნიერება); იგი რუსთაველისთვისაც ცნობილი ყოფილა.

მექანიკური სიმტკიცე მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა თანამედროვე ტექნიკაში. ამჟამად თვითმფრინავების ზომა, ტვირთამბა და წონა ძლიერ გადიდდა, ამასთან ერთად, გადიდდა მათი ფრენის სიჩქარეც, რეაქტიული თვითმფრინავები იტვენენ 150-200 მგზავრს და საათში 900-1000 კილომეტრის სიჩქარით მიჰქრიან. ასეთ თვითმფრინავებს დაჯდომის სიჩქარეც დიდი აქვთ, თუ ამას დავუმატებთ მათ მძიმე წონას, მივიღებთ მეტად ძლიერ დარტყმას რეზინის საბურავებზე მიწასთან შეხების დროს. ამ საბურავებს სიმტკიცის გასაძლიერებლად შიგნით ჩატანებული აქვთ ქსოვილის რამდენიმე ფენა. ვიდრე თვითმფრინავებს წონა და დაჯდომის სიჩქარე ნაკლები ჰქონდათ, ეს ქსოვილები (კორდი), გაკეთებული ხელის ან ბამბის ბოჭკოსაგან, უძლებდნენ ამ დარტყმას. მაგრამ შემდეგ ასეთი მასალებისაგან გაკეთებულმა კორდმა ვეღარ გაუძლო დარტყმებს და საბურავებმა დახეთქვა დაიწყეს; ამ მდგომარეობიდან გამოსავალი მოინახა ქიმიური პოლიმერული ბოჭკოსაგან მოქსოვილი კორდის გამოყენებით. კორდი დამზადებული იყო კაპრონისა და ნეიტრონის ბოჭკოსაგან. მათი მექანიკური სიმტკიცე მეტია ყველა ბუნებრივ ბოჭკოზე, მათ შორის აბრეშუმზედაც.

საქართველოს პოლიმერული ქიმიის პირმშოს წარმოადგენს რუსთავის კაპროლაქტამის ქარხანა. ეს არის, ამავე დროს, დიდი ქიმიის ერთ-ერთი გიგანტი, რომელიც წელიწადში დიდძალ პროდუქციას გამოუშვებს, მისი მნიშვნელოვანი ნაწილი კაპრონის ბოჭკოდ გადამუშავდება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ქიმიური სასუქების წარმოების მაქსიმალურ გაფართოებას. პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ მოსავლის გადიდება ამიერიდან უნდა მოხდეს ძირითადად არა სათესი ფართობის შემდგომი ზრდით, არამედ ნათესი ფართობის ერთეულზე მოსავლის გადიდებით.

უხსოვარ დროიდან ცნობილია, რომ სასუქით განოყიერებული მიწა უკეთეს მოსავალს იძლევა, მაგრამ სასუქის წყაროს ძველად მხოლოდ საქონლისა და ფრინველის ნაკელი შეადგენდა. სასუქის ეს მარაგი საკმარისი იყო, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ ბოსტნეულისა და ბაღებისათვის. მარცვლეული კულტურები კი უსასუქოდ რჩებოდა. ევროპის ქვეყნებმა გასული საუკუნის დასაწყისიდან ჩილიდან დაიწყეს ფრინველის ნაკელის შემოზიდვა. ეს სასუქი („გუანო“) ძირითადად შეიცავს ნატრიუმის გვარჯილას, რომელსაც ქიმიკოსები ადვილად იღებენ.

ამჟამად ქიმიური მრეწველობა უშვებს სხვადასხვა ტიპის სასუქებს, რომლებიც ხარისხით ბევრად სჯობია გუანოს და მასზე იაფიც ჯდება.

თუ რა დიდ ეფექტს იძლევა სასუქის შეტანა მარცვლეული და სხვა კულტურების ნათესში, ჩანს შემდეგი ზოგადი ხასიათის შედარებიდან: თუ საშუალო ხარისხის ნიადაგებზე უსასუქოდ მოდის 10-12 ცენტნერი ხორბალი, სასუქის შეტანის შემდეგ მიღებული მოსავალი 30 ცენტნერს აღემატება. სოფლის მეურნეობის ცნობილი ენთუზიასტი პ. ლუკიანენკო თავის საცდელ ნაკვეთზე სასუქების შეტანით სისტემატურად იღებს 45-50 ცენტნერ ხორბლის მოსავალს („უფხო 1“-ის ჯიშის).

საქართველოში მარცვლეულის საშუალო მოსავალი შეიძლება გავაორკეცოთ მინერალური სასუქების შეტანის გზით. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა მნიშვნელობა ექნება ამ გარემოებას ჩვენი რესპუბლიკისათვის. ამ პრობლემის გადასაჭრელად საჭირო სასუქი ძირითადად დამზადდება რუსთავის ქიმიურ ქარხნებში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის დადგენილებათა განხორციელების ერთ-ერთი პრაქტიკული შედეგი ჩვენი რესპუბლიკისათვის სწორედ ის იქნება, რომ უმნიშვნელოვანესი სახის სასუქების — ამონიუმის გვარჯილისა და კარბამიდის (შარდოვანას) წარმოება რუსთავში უახლოეს ხანში გაორკეცდება. ამ სასუქების სიკეთე მალე საგრძნობი გახდება მოსავლის გადიდებით.

დიდი რაოდენობითაა საჭირო ჩვენს რესპუბლიკაში სასუქები ჩაის კულტურის, სუბტროპიკულ მცენარეთა ნარგავებისათვის და მევენახეობისათვის. ამის გამო საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს ჩვენში ფოსფოროვანი სასუქების წარმოებას, რაც მეტად საჭიროა ძვირფასი ტექნიკური კულტურებისათვის.

საქართველოში ადვილად მოსაყოლია მანგანუმის მიკროსასუქების წარმოება. ეს სასუქები არც ისე ბევრია საჭირო, მაგრამ მათი გამოყენება აუცილებელია. ჭიათურის მარგანეცის ბაზაზე ასეთი სასუქების წარმოება შეიძლება მთელი საბჭოთა კავშირისათვის მოეწყოს.

ქუთაისში შენდება პლასტმასების საცდელი ქარხანა, რომელიც ტყიბულის ფისოვანი ნახშირის ბაზაზე **წელიწადში გამოუშვებს ათასობით ტონა საწნეხ ფხვნილს.** ასეთი ტიპის ქარხანა პირველი იქნება ჩვენს ქვეყანაში. მისი მსგავსი ქარხნები შემდეგში სხვაგანაც აშენდება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა უდიდესი ამოცანები დასახა ჩვენს ქვეყანაში ქიმიური მრეწველობის ფართოდ განვითარებისათვის. საქართველოს ქიმიკოსების ვალია, რომ მათ წინაშე დასმული ამოცანები უმოკლეს დროში და მაღალხარისხოვნად შესრულდეს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ისინი ამ მოვალეობას კეთილსინდისიერად შეასრულებენ და ამით მოიხდიან თავიანთ პატრიოტულ ვალს სამშობლოს წინაშე.

პეტრე ციხკარიშვილი

რუსთავი. აზოტოვანი სასუქების ქარხნის საკომპრესორო საამქრო.

ფოტო თ. არჩვაძისა

შავი მდინარის ოქროსფერი

საბჭოთა ხელისუფლების წლებში საგრძნობლად გაიზარდა მარგანეცის მოპოვება ჭიათურის მაღაროებში. სამშობლოს სულ უფრო მეტი მარგანეცი სჭირდება, მისი მოპოვება კი, მექანიზაციის გარეშე, შეუძლებელი იქნებოდა ფეხდაფეხ მიჰყოლოდა საბჭოთა მეტალურგიის განვითარებას.

ახლა უმეტეს შემთხვევაში მადანს ისე ანგრევენ, ისე გამოაქვთ მაღაროდან, ამდიდრებენ, ახარისხებენ და ტვირთავენ, რომ მას აღ რ ეხება ადამიანის ხელი. ესაა მხოლოდ, ყვირილას შავ ტალღებს დღემდე თან მიჰქონდა ათასობით ტონა საუკეთესო ხარისხის მარგანეცი.

როგორც ყველა მთის მდინარე — ყვირილაც მეტად თავნება და აშარია. ხადღაც მდინარის სათავეებში პატარა წვიმაც კი საკმარისია მის ასადიდებლად. მაშინ ყვირის და შფოთიანობს ეს შავი ვეშაპი, წალეკვით ემუქრება მიდამოს... ამიტომ არის, რომ ყვირილას დამორჩილების პრობლემა დიდი ხანია დააყენა ცხოვრებამ ჭიათურელთა წინაშე. და აი, ათ წელზე მეტია, რაც მდინარე რკინა-ბეტონის არტახებში ჩასვეს და გასაქანი აღარ მისცეს. მის ნაპირებზე კი მრავალი ფაბრიკა და ქარხანა ააგეს.

ძირფესვიანად შეიცვალა მაღაროელთა შრომა და ცხოვრება, გაიზარდა და დამშვენდა მარგანეცის ქალაქი ჭიათურა.

შავი მდინარის ოქროსფერი

მითქმის ერთი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც ქართული მარგანეცი გამოჩნდა საერთაშორისო ბაზარზე, ხოლო მარგანეცის მრეწველობის სამსახურში ჩაყენებულმა მთის ანკარა მდინარე ყვირილამ ფერი იცვალა, აიმღვრა და გაშავდა.

იყო დრო, როცა საბჭოთა ხალხს ახარებდა ახალი ფაბრიკა-ქარხნების მილებიდან ამოსული კვამლის დანახვა. რაც უფრო მუქი იყო კვამლი, მით უფრო ომახიანად გუგუნებდნენ ორკესტრები. დღეს კი ქარხნის მილიდან ამოსული შავი ბოლი აღარავის ესიამოვნება — იგი ხომ წარმოების არასრულყოფილობის ნიშანია.

იყო დრო, როცა თვალს ახარებდა ყვირილას სიშავეც. რაც უფრო ამღვრეული იყო მდინარე, მით უფრო მეტ მადანს იღებდა საბჭოთა მეტალურგია. მაგრამ დადგა დრო, როდესაც ყვირილას სიშავე შეუფერებელი გახდა ჩვენი მრეწველობის ტექნიკური დონისათვის — იგი მარგანეცის მრეწველობის ჩამორჩენილობის სიმბოლოდ იქცა.

მაგრამ ყვირილას სიშავეს კარგა ხანს მაინც ვერაფერი მოუხერხეს. ახლა კი დადგა მისი ჯერიც...

ჭიათურელი მშენებლები ამთავრებენ უნიკალურ საინჟინერო ნაგებობას — ცენტრალურ საფლოტაციო ქარხანას, რომელიც ერთ-ერთი პირველთაგანი იქნება საბჭოთა კავშირის სამთომადნო მრეწველობაში.

ყველა გამამდიდრებელი ფაბრიკიდან მადნის გასამდიდრებლად გამოყენებულ წყალს მილებით მიაწოდებენ საფლოტაციო ფაბრიკის მთავარ კორპუსში, ისე, რომ ამღვრეული წყალი აღარ შეერევა მდინარეს, აღარ გააშავებს მას და ყვირილას კვლავ დაუბრუნდება თავისი კამკამა ფერი სათავედან შესართავამდე...

საფლოტაციო ფაბრიკაში კი ნამუშევარი ამღვრეული წყლიდან ფლოტაციის წესით მიიღებენ მარგანეცის მაღალხარისხოვან კონცენტრატს, რომელიც აქამდე უსარგებლოდ იკარგებოდა.

დადგა შავი მდინარის აღსასრული, რაც ჭიათურელი მაღაროელებისა და მშენებლების დიდი გამარჯვებაა.

ნიკოლოზ ნიკოლაძე





ჭუჭყიანი ალი ვაშლოვის ოვალ

აკაკი გეწაძე

თოვს. იბარდნება ლამაზად ბაღი,
ძირს ხრიან ხენი დახუნძლულ ტოტებს.
თოვს და ღელეზე ხიდები ჩნდება,
თეთრი ხიდები ფაფუკი თოვლის.
ღელე თოვლისქვეშ ღუღუნებს მტრედად.
თოვს. სულ შეერთდა მიწა და ზეცა,
თოვს გულმოდგინედ და ხვავრიელად.
თუმცა ფიფქები ვარსკვლავებს ჰგვანან,
არა სწყდებიან ვარსკვლავნი ცარგვალს,
ეს ზეცას სცვივა კეთილი ფიქრი
და იდუმალი ისმის გალობა.

გლეხი გასცქერის და იღიმება:
ასეთმა თოვლმა ხვავიანი კალო იცისო.

აივანზე დგას ლამაზი ქალი,
ქალი თოვლისფერხალათიანი
და თოვლზე ღიმილს მზესავით აფენს:
— აი მოვიდა თეთრხალათა წყნარი ექიმი
ცისა და მიწის, წყლის და ხმელეთის.
რას ჰქვია თოვლი! მალამოა, თეთრი მალამო.

თოვს ხელგაშლილად და ბედნიერად,
ისმის ფიფქების ჩუმი სიმღერა:
— ერთი გახედეთ, მთელი მთა-ბარი
ჰგავს საქორწილოდ მორთულ დედოფალს
და იდუმალი ისმის გალობა.

თოვს. ბიჭი არბის ფერდობზე ციგით,
ჰა, დაიკარგა თეთრ ვარსკვლავებში,
მერე ბინდ-ბუნდად გამოჩნდა მაღლა.
თოვს. ათოვს სოფელს და ეკლესიას,
ათოვს ძველსა და ახალ საფლავებს,
ცამ იცის, ახლა იქ ვერვინ მივა,
რომ ცივი მიწა გაათბოს ცრემლით.
და თვით ახურავს ქათქათა სამანს.

თოვლიან მთა-ბარს მგოსანი უცქერს
ვით დაუწერელ ვეება ფურცელს
და თეთრი ფიქრით ევსება გული.

ათოვს გზებსა და საფლავებს ათოვს,
მაგრამ კაცის სისხლს არ ათოვს არსად.
მშვიდობიანი თოვლია წყნარი,
თოვლი ტყვიისგან გაურუჯავი.

თოვს. მეზობლები უსხედან სუფრას,
სიმღერით სვამენ ცეცხლისფერ ღვინოს
და სიყვარული ანათებს ჭიქებს.
ბუხარში დიდი ჯირკი ღიღინებს,
და ნაკვერცხლები ვარდებად ცვივა,
ბუხარში ახლა ვარდობისთვეა.

თეთრი ვარსკვლავნი ცვივიან ციდან,
სხვა ვარსკვლავნი კი ცას არ სწყდებიან,
ცას სცვივა მხოლოდ კეთილი ფიქრი...
თოვს გემრიელად და ბედნიერად.

1 იანვარი. 1964 წ.



მოდით

ჯაჭვასავით, აბა, ჩავთ



ოტო ო. თუარკინსი

ალი, მოდი, პატარა ბიბო!
მოდი, ქეთი, მოდი, დათო, მანანა, ირინა, ნანა, მოდით ბავშვებო!

პატარა ბიბო! შენ ჯერ არც ერთხელ არ სწავლიხარ აქეთრობას? დიდრონი თვალები ფართოდ გაგიღია, გაოცებული იყურები. ჯერ იცავი წმენდე ნაბეჭის ხე. ეიფელ ცისკარი დღეს ფანჯრიდან რომ ეპოტინები? ბრეშვილი კაბა ჩაუცვამს, მძიანებით მორთულა, მოკაზმული, როგორ ანთიხს, ბზინავს! ეს საბავშვო ნაბეჭნები, პატარა ბიბო! შენ რომ ილბინო მის გარშემო, მისთვის მორთულ და გალამაზულ ასე, ეს ყეიბერიელ დარბაზებიც შენთვის გაჩუენეს. რა ლამაზი თოვნაა? ხედავ, როგორ ტირის ის გოგონა? ჯერ ნიღაბი აიჩეგა — მიეიდეთო, ახლა დედოფალს გაკაცა ცასარე ცრემლი. აქ, ამ ვიტრინას ბავშვები. რომ მიხედეთ, ხე-

ფლ? შიკ რა ვინმეა რომ არ იცოს, ეეეეეეეს თვალდაჭყეტილი დედოფალი. ჯერ ისაა ოქრო ფალონი, ცხენი, მანქანები, გემი, თვითმფრინავი, ამა ბერო, ეკონეტს, ბანკარ ფეხი, ისე ბაკრა, ისე ანდერ, თითქო მართლაც ფეხბერიელი იყო. ბიფეკი შენ ხიან ჯერ ისე პატარა ხარ, ზალაარი „ოხი და ვიგო“ არც კი იცი, თოვლის ბაბა არ ვინახავს. ეს, ვინ ეოფილხარ, პატარა ბიბო?

ბავრომ ერთხელ, ეი ბაშინ, როცა ამ ბიბეების ტოლი ვიარსრდები, ჯერ ბერთის რომ ბერაკეენ ვაბადებით ამ ეკეთბეში, აქ შენ-ბეკელ, ბერთის იეიეენ, ერთი მიზნით: რომ ისწავლო და თითბერი ბერთი ისე, როგორც მეეხი თამაშობს...

შენ ბერთზე დაჯრეს თვალი, ამ ბიბეზან ამდენ სათამაშოებში ის ბანკანა აირჩია. აქ-ნენ ამას ამ ბანკანის ეინი ეკეთენ ვაბეკეენ, როცა ვიარსრდები, თვითონ მართის, სათამაშო კი არა და ბანდელი, ფიფი ბანკანები. ეს ეხსენეკი ერთხელ შენების თვალდაჭყეტილი ზეხეკერთრა ამ თოვლენს, ახლა სხეკ სხვა მიზნით ზეგოვიდა — ახალ ეელეეეკ ახალი ფეხსაცმელით ეფდა შეხვედეს.



ბაგრამ დაბეთოარ რაკებს არც ერთი ფეხსაცმელი „ბავშვთა სამყაროში“, ხეკი ვაკ არ არის — ბანეკეკების ბიდეკნიში ეფდა ეერის ფეხსაცმელი.

შენ კი, პატარა ბიბო, ჯერ არც კი იეი, თუ ეკეთრეხა ქეთი, ფეხსაცმელი... თვალ ბერთზე და ცხენზე დაჯრა. ქეთან თოჯინაკენ ვიიეა. ამა, ქეთონ, დედოფალო, რა ვსურს ეიდეე? ირჩეკ. ხეკიან თქვენთვის ირჩეკი ენანეხა. ბეკი, როცა თქვენს ხელრთან დახედავ, ვიდეკ ამ ხარკოკინეს წიეეთხაკს, შენი ბეკი — თამარ ცოცოშვილი ისეე ბსახოიის ოიდში ეკონეკს, ვითეკერეს: ეს სურათი ახალი ფილმის კინოკადრი თუ არისო. ეს ფოტო კი მაშინ ვადადეს, როცა თამარ ცოცოშვილი, ოთხი შვილიშვილის თანხლებით „ბავშვთა სამყაროში“ შემოვიდა და ხაბაღეწლო ხარეკრების რიგში ჩადგა.

ქეთო, გოგი, ლეონ, თამარ, ირჩიეთ რა ვსურთ, თავს ვიკრავენ. ვეძახიან თოჯინებმა! თვალი რაზე შეგრჩათ ბატარები? ვულს არ დაეშვეთ თქვენი ბეკი, ირჩიეთ!

ეთაკიდან პოპჩეფკრე ნუკროვი

რასულ გამზატოვის ლექსების ახალი წიგნის გამო

დაღესტნელი პოეტის რასულ გამზატოვის ახალი ლექსების ციკლი სახელწოდებით „მაღალი ვარსკვლავები", რომელიც რუსულ ენაზე (ლექსები ავარულიდან უთარგმნიათ ნ. გრებნევსა და ი. კოზლოვსკის) ამას წინათ ცალკე წიგნად გამოვიდა, საბჭოთა პოეზიის ახალი გამარჯვებაა.

ხსენებულ წიგნს 1963 წელს მაღალი ჯილდო — ლენინური პრემია მიენიჭა.

ამ წიგნში ყველა ლექსი მიმზიდველია, მაგრამ ჩვენ განსაკუთრებით შევიყვარეთ ლექსების ის რკალი, რომელსაც, ქართულ პოეზიაში ცნობილი რვულის მსგავსად, „Восьмистишия" ეწოდება. აი, ერთ-ერთი ლექსი ხსენებულ რკალიდან:

მთის ღელეები, მდინარეები
მიჰქრიან სადღაც თავგამეტებით,
სიცილ-ხარხარი და ხმაური აქვთ
ღვინოგადაკრულ პოეტებივით.
ო, ჩემი მთების მდინარის წყალო,
რა გახმაურებს, რატომ ხარხარებ?
მე მდუმარე და მოწყენილი ვარ,
როდესაც ვტოვებ სამშობლო მხარეს.

ეს ლექსი ჩვენ ვთარგმნეთ არა ორიგინალიდან, არამედ ნ. გრებნევის რუსული თარგმანიდან, რომელსაც აქვე დავიმოწმებთ:

Рокочут ручьи и гремит водопад,
Вдали исчезая где-то,
Смеются потоки и реки шумят,
Как подвыпившие поэты.
Зачем ты шумишь и смеешься, вода,
Навеки свой край покидая?
Я с печалью всегда, я молча всегда
Ухожу из родного края.

მხატვრულობის თვალსაზრისით, ჩვენი თარგმანი სრულყოფილად არ მიგვაჩნია, რაც ალბათ უფრო თვალსაჩინო იქნება ორიგინალთან შედარებისას. მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, როგორც ზემოთ მოყვანილი ქართული თარგმანი, ისევე ჩვენი სხვა თარგმანებიც, რომელთაც ამ წერილში გზადაგზა გავეცნობით, მიიპყრობენ მკითხველთა ყურადღებას, მათ ისევე აუჩქროლებენ გულს, როგორც ბეშმარიტ პოეზიას სჩვევია ხოლმე.

თუ რა შემთხვევაში შეიძლება ლექსების ფორმის მხრივ შედარებით მკრთალმა თარგმანებმაც გაახაროს მკითხველი, ამაზე ჩვენს მოსაზრებას ქვემოთ გამოვიქვამთ. მანამდე კი გავეცნოთ ორ სხვა ლექსსაც, რომელთაც ასე თუ ისე, თემატიკური კავშირი აქვთ წერილის თავში მოყვანილ პოეტურ სტრიქონებთან.

პოეტის ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ რ. გამზატოვის სამშობლო სოფელი ხუნძახის რაიონშია და იმ აულს ცადასი ეწოდება (თვით ეს შვილია დაღესტნის სახალხო პოეტის გამზატ ცადასისა). თავისი სოფლისადმი სიყვარული რ. გამზატოვს ამგვარად გამოუხატავს:

მუდამ რომ ცეცხლი ენთოს ისეთი
ბუხარი განა სადმე იქნება?
ამ ჩემს გულში კი, — მიადევ ხელი, —
ანთია ცეცხლი, არა, არ ქრება!
ღამით, დღისითაც რომ კრთოდეს ცეცხლი
არის ისეთი სოფელი განა?
ჩემს თვალებში კი დღისით და ღამით
ჩემი აულის ცეცხლები ჩანან.

იმ კერისადმი სიყვარული, სადაც დაიბადა და იზრდებოდა პოეტი, ამგვარად არის გამოხატული:

შენ, სახლო ჩემგან მივიწყებულო,
ო, თვალი რატომ მომაპყარ ცალი?
თუ, შამაჩემის ხელით ნაგებო,
მე, შენი ბარტყი, ვეღარ მიცანი?

ქვებმა მომიგეს:
— რით ვერ გაიგე,
იმიტომ გვამჩნევ დარდს და მოწყენას,
რომ შენს მშობლიურ ჭერქვეშ, ბუდეში,
მხოლოდ ხან და ხან იცი მოფრენა.

ეს ორი უკანასკნელი ლექსიც რუსულ თარგმანში უკეთ გამოიყურება, ვიდრე ქართულში. მიუხედავად ამისა, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ზემოთ მოყვანილი სამივე ლექსი ბეშმარიტი პოეტური ქმნილებებია, რაც მხოლოდ იმ გარემოებით უნდა ავხსნათ, რომ მათ საფუძვლად უდევთ ავტორის თავისთავად ძვირფასი პოეტური განცდები. მაგალითად, ზემოთ მოყვანილი პირველი რვა სტრიქონიანი ლექსის პოეტური განცდა შემდეგში გამოიხატება: ავტორს მოეჩვენა, რომ მთებში სათავეებიდან მომჩქეფარე ნაკადულები გახარებულნი არიან, იცინიან და კისკისებენ (მთიდან დაქანებული წყლის ელვარება და ხმაური მართლაც შეუქმნის ადამიანს ამგვარ შთაბეჭდილებას). ამგვარი სურათის ხილვას პოეტისათვის გული უტკენია, რადგან, როცა მე მშობლიურ ადგილებს ვტოვებ, გული მტირის, თქვენ კი რა გაცინებთ, ნაკადულებოო, უთქვამს პოეტს.

როგორც ვხედავთ, ამგვარი განცდა პროზაული მოყოლითაც პოეტურია.

ჩვენ გვხიბლავს, მაგალითად, ის განცდაც, რომელიც რასულ გამზატოვისათვის, — როგორც პოეტისათვის, — ერთ მთიელ ქალს შეუქმნია; აი ეს ლექსიც:

— ლამაზო ქალო, ძველ კაბით დახვალ,
რატომ არ იცვამ შენს ფარჩა-დიბებს?
— ჩემი ძვირფასი ტანისამოსი
აღარ მახარებს, ზანდუკში მიდევს.

— რატომ დევს უქმად, რატომ არ იცვამ?
ეს მოგდის, ქალო, შენს უნებურად?
— არა, ვისთვისაც თავს ვიზონებდი,
ომიდან აღარ დაბრუნებულა!

ვფიქრობთ ქართულ თარგმანსაც აუცილებლად აღმოაჩნდება მკითხველზე ზემოქმედების ძალა. პოეტი გვიჩვენებს როგორ გლოვობს ლამაზი მთიელი ქალი სამამულო ომში დაღუპულ გმირზე. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ამ ლექსის რამდენიმე შტრიხმა მეტად საინტერესო ბუნების ადამიანად გამოაჩინა არა მხოლოდ ომში დაღუპული გმირის საცოლე, არამედ ის ადამიანიც (ამ შემთხვევაში — პოეტი), რომლის გული აუფორიაქებია მთიელი ქალის მწუხარებას.

აი კიდევ ერთი ლექსი, რომელიც აგრეთვე რასულ გამზატოვის ფიქრებს გვაცნობს:

მდინარევ მთისა, ხომ ხედავ, ირგვლივ
კლდე უწყლობით რომ არის დამსკდარი?
მაშ იქით, სადაც ბევრი წყალია,
რატომ მიდიხარ, რათ მიიჩქარი?

ო, გულო ჩემო, ჩვენც ასე მოგვდის:
ვისაც ვუყვარვართ, ტკბილად გვეპყრობა —
მასთან არ ვრჩებით, იქით ვიჩქარით
უჩვენობა რომ არც შეეტყობა.

ხსენებული რვა-რვა სტრიქონიანი ლექსების რკალში რ. გამზატოვს ქალ-ვაჟის სიყვარულზედაც აქვს მეტად საუურადღებო ლირიკული ლექსები. აი ერთი მათგანი:

მგალობელ ჩიტებს, — ბულბულს მით უფრო, —
ქვებს ნუღარ ესვრით თქვენ ნურასოდეს;
თქვენზე მლოცველებს გულს ნუ მოუკლავთ,
ქალიშვილებო, თქვენაც გახსოვდეთ!
შენ, ჩემო კარგო, ცივად მეპყრობი,
მაღონებ. ერთხელ ასედაც მოხდა:
ისეთი მწარე სიტყვა მესროლე,
რომ ის შენს ბულბულს ქვასავით მომხვდა.

ახალ წიგნში რ. გამზატოვს აგრეთვე ლექსების მეტად საყურადღებო ციკლი „წარწერები" შეუტანია. ამ ციკლის ქვესათაურები გვაცნობენ, რომ ეს პოეტური სტრიქონები რ. გამზატოვს თითქოს სახლების კარებზე, ბუხრებზე, ყანწებზე, ხანჯლებზე, სასაფლაოების ლოდებზე (როგორც ეპიტაფიები) მიწერილი წაუკითხავს. ეს, რა თქმა უნდა, ხერხია. პოეტი მათ ვერსად ვერ წაიკითხავდა, და ისინიც მის სულში შექმნილი მარგალიტებია.

ყანწს, რაც სიტყვები ესმის, მგონია,
უფალსაც აღარ გაუგონია.

ჩვენ იმის გამო გვხიბლავს ეს ორსტრიქონიანი ლექსი, რომ მასში ყანწი ღვინის სასმელ ჭურჭლად კი არ ჩანს, არამედ ისეთ საგნად, რომელიც რაინდული სულის ადამიანების მართალ სიტყვებს აუმაღლებია.

ნადიმი და ლხინი რომ ადამიანებს შორის გულმართალი საუბრის გამჩაღებელ მოვლენად მიიჩნია პოეტს, ამაზე კვლავ ყანწზე მიწერილი მეორე ლექსიც გვეუბნება:

აღმოაცენებს წვიმა ბალახს,
ისე, ვით ტყეს,
ღვინის სმა — სიტყვებს.

„წარწერებში" აღმოსავლური პოეზიისთვის, ვთქვათ, ომარ ხაიამისათვის, დამახასიათებელი ფიქრებიც არის გამოლაქვნებული. მაგალითად, რ. გამზატოვის თქმით აულის სასაფლაოს ერთ-ერთ ლოდზე ადამიანი თითქოს ამგვარ წარწერას წაიკითხავს:

გზების შენება გვახარებს, გვიყვარს,
ბოლოს კი ყველა გზა აქ მოგვიყვანს.

ეპიტაფიებად მიჩნეულ სხვა ლექსებს შორის ერთ-ერთი ასეთია:

ის გაზაფხულის მოსვლას ელოდა
და თოვლის წასვლას, როგორც იტყვიან...
გაზაფხული ხომ მოვიდა, მიდის
მას არაფერი არ შეუტყვია

„წარწერებში" მთიელთა ყოფა-ცხოვრებისათვის დამახასიათებელ გულთბილ ლექსებსაც ვხვდებით. რ. გამზატოვს ერთ-ერთი სახლის კარებზე თითქოს ამგვარი მინაწერი წაუკითხავს:

დააკაკუნეთ, — ღია გვაქვს კარი,
სტუმრის კაკუნი
ჩვენთვის ტკბილი სიმღერა არის!

1868 წელს თბილისში ცალკე წიგნად გამოვიდა „ცნობების კრებული კავკასიის მთიელებზე", რომელიც იმ ხანებში დიდ რუს მწერალს ლევ ტოლსტოის დიდად საყვარელ წიგნად მიუჩნევია, ვინაიდან მასში დაღესტნელ ხალხთა ყოფა-ცხოვრების ამსახველი მეტად ღრმაშინაარსიანი პოეტური სტრიქონები უპოვნია. იმ წიგნში მოთავსებული ფოლკლორული მასალის შესახებ, ლევ ტოლსტოი ა. ფეტისადმი მიწერილ ბარათში წერს: „იქ გამოქვეყნებული მთიელთა პოეზია და პოეტური საუნჯენი საოცრად მომხიბვლელია. მინდოდა თქვენთვის გამომეგზავნა, მაგრამ ვერ შევეყალე. ეკითხულობ, ისევ ეკითხულობ". ვინც გაეცნობა ხსენებულ კრებულებში გამოქვეყნებული პოეზიის ნიმუშებს, მიხვდება, რომ რ. გამზატოვის „წარწერებს" ბევრი საერთო აქვს დაღესტნელთა ღრმაშინაარსიან და მართლაც მომხიბვლელ ხალხურ პოეზიასთან. აი, კიდევ ერთ-ერთი მათგანი რ. გამზატოვის „წარწერებიდან", რომელიც პოეტს თითქოს კლდეზე მიუწერია:

მწუხარების ჟამს ისიც ცრემლს ღვრის
ვინაც გმირია,
მერე რა ვუყოთ, ავდარში ხომ
კლდენიც ტირიან.

1957 წელს გამომცემლობა „საბჭოთა მწერალმა" ცალკე წიგნად გამოსცა ქართველი პოეტების მიერ ჩინებულად თარგმნილი რ. გამზატოვის ადრინდელი ლექსები. კარგი იქნებოდა, რომ ქართველ პოეტებს მათთვის უკვე საყვარელი შემოქმედის ახალი ლექსების წიგნიც ეთარგმნათ.

ვიქტორ გაბესაკირია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ ჭილაძე

ჩემს საკრებულო

დილა, სიფხიზლესთან ერთად
მოვა, გამომიწვდის მარჯვენს,
რომ არ გადავიქცე ლექად
მღვრიე წამალივით მანჯღრევს!

მაგდებს ოთახიდან გარეთ,
უზმოს დამანაყრებს ხაშით,
ქუჩის ერიამულში გამრევს,
ჩუმად შემაზავებს ხალხში.

მე თავს მოკრძალებით გუხრი
დილას აკვნიდანვე ნაცნობს,
ვხვდები მოდრეკილი მუხლით,
როგორც დედამიწის აწმყოს.

დილას, გაღიმებულ დილას
ვხვდები აღსარებით წრფელით,
მასთან გულახდილად მივალ,
როგორც მეგობარი ძველი.

ხან ის შემოივლის ჩემთან,
შუქით დამადგება თავზე,
როგორც გაზაფხულის ფეთქვა
ცინცხალ სიჯეელით მავსებს.

რად არ მივიჩნიო სწორად
დიდი გულწრფელობა მისი,
რად არ მიხაროდეს, რომ ვარ
დილის სიყვარულის ღირსი.

ზოგი გააძვირებს ღიმილს,
ძმებთან მეგობრობას მოშლის,
ოღონდ მომგებიან დილის
სიფთას გაუსწოროს ხოში.

მე თან ძმაკაცივით მახლავს,
მასმევს ამბოხებულ მაჭარს...
დილაც ჩემნაირად, მახლას,
სხვებზე ხელგაშლილად ხარჯავს.

დილა მკითხველია მკაცრი,
ღამის ნაცოდვილარს მიშლის,
შაირს დამმარცვლავს, გაცრის,
მსგავსად ოქრონარევ ქვიშის.

დილას მატარებლით მოაქვს
ჩემთვის შემოდგომა მთელი,
მივსებს ბეღელივით ოთახს
გვიან მოლეული რთველით.

და მეც გავჩენილვარ დილით,
ბნელი ღამისფერი სახის
და ხმა დამყოლია თბილი,
როგორც პიონერულ საყვირს

და მეც არსებობა ჩემი
დილის დროშასავით მომაქვს,
სხვას არ მიუჩრდილებს ფრთებით
და არც შეედრება ქოლგას,

რადგან პოეტების ხვედრი
დროშის გაელვებას მოგავს!
დილის საგალობლით ვხვდები
ჩემს დიდ, სწორუპოვარ ქომაგს.

ჩრდილის პარადი

შუქი დაეცემა ქუჩას
და ხეს იდუმალი ჩრდილი
მზისგან გაუჩნდება ჩუმად,
როგორც უკანონო შვილი.

ფეხქვეშ გაუწვება ყველას
უცბად წამოზრდილი ბუში,
თბილისს ეკვეთება შველას,
ოხრავს უმოწყალო ბუღში.

მაგრამ გაბრუებულ ქუჩას
ჩრდილის არაფერი ესმის,
როგორც ჩაბნელებულ უჯრას
ჩემი წუხანდელი ლექსის.

ხმას ვერ გადააწვდენს ქალაქს,
რადგან აღზევებულ თბილისს
მეტი საზრუნავი არ აქვს,
გარდა ხვალინდელი დილის.

ფართო მოედნების ფეთქვა,
დროსთან ჩამორჩენის შიში
თბილისს შეუყრია ერთად,
როგორც დასიცხულნი ჩრდილში.

და მის მოჯგრიალე ქუჩებს
თუ ვერ შეეთვისა ვინმე,
სხვაგან გაიხიზნოს გურჩევ,
მყუდრო გამოძებნოს მღვიმე.

თორემ შეუძლია თბილისს
აღარ მიაკაროს ძუძუს,
მერე წეღანდელი ჩრდილის
ხვედრი დაატეხოს უძლურს.

მოხდეს მოსახდენი, დაე,
მწუხრში მინატრია ხშირად:
როცა დამეცემა ღამე,
დავრჩე დედაქალაქს ჩრდილად.

ძირგვლეყოფილი ხილვა

ფრთებად გადაქცეულ მხრების
ძალა წარსულისკენ მისვრის,
კინორეჟისორი ვხდები
ჩემი საკუთარი სიზმრის.

ქვეყნის პირველყოფილ ხილვით
ტკბილთან შევაზავებ მწარეს,
ტკივილს, მწუხარებას, ღიმილს
ფილმი ერთმანეთში გარევს.

ლხინის, გაჭირვების, სიმწრის
ისე გადავიღებ კადრებს,
რომ ეს გაელვება სიზმრის
ცხედრის გაცოცხლებას ჰგავდეს.

და ვრცელ კინოსიზმარს — მთლიანს
უცბად გადავიღებ, წამში;
როგორც ტრაფარეტულ ფინალს
ჩემ დღეს უკანასკნელს წავშლი.

მეკამეჩრდილეს

გუშინ მივაკითხე მარტომ
ვინც მე გადარევით მიყვარს.
— რისთვის ჩამოხვედი, რატომ? —
სტუმარს მეკითხება ვიღაც.

ვერ ვცნობ გამოხედვას და ხმას,
ვცნობ თმებს, გასაოცარ წარბებს.
— უკან გაბრუნდები, წახვალ! —
ვიღაც მერამდენედ ბრძანებს.

ჩვენ ორ ხელმოცარულ შორის
ვიღაც აღიმართა თითქოს...
თავის პიროვნებას, ჰოი,
თვითონ გამოეყო, თვითონ.

თვითონ სულშეცვლილი, მკაცრად,
ცივად ჩამკიოდა სულში,
იყო გამოცვლილი მსგავსად
წამლის გამოცლილი შუშის.

ვეღარ შევუბრუნე სიტყვა,
ვინც მე ბავშვობიდან მიყვარს,
ალბათ, თავიდანვე ვიყავ
ვიღაც ვიღაცისთვის, ვიღაც.

კიდევ ერთი სასაღამოები შეხვედრა. ლენინის ანუ ლენინის პორტ-ტრეტები საგანგაშო ვიტრინაზე.

ოკეანეებიდან

სერგო ერემეევი

ბალ უნდა გავდრინდეთ საქმიანობაში. სანიერი გიგანტი «ეტ-114» გადაეცემა ჩრდილო ამერიკის ავიახანაგები ნა-პერტს, ტიტელიფლის, ისლანდიის, ნორმანსკენ ისე, რომ არ-სად არ დაჯდეს; 14 საათი იფრენს ახალ შეხვედრად. ქვეყანი — უსაზღვრო ოკეანეი გადაეცემი, შეხვედა მოგარის შუ-ენი ეთანგრეთი ინიციატივები და ეთნიკეფალი ოკეანის ფერი საგარეო... ზევით ვარსკვლავები (ახალი თითქოს ხედ ანალი ინიან) და ბრილიანტიის ნაფეხი ცოლდეს... ისე ვიფრენთ 10.700 ინიან) და

კოდანტების და ბოდიის, ეთიოპიისა მოსკოვში დაეკვეთი (ეს უსაზღვრო ეანიანეები ეთანგრეთი ინიციატივები ეთანგრეთ ინიციატივები ეთანგრეთ ინიციატივები ეთანგრეთ

ეს რა აკარნაალი იყო!

ხალხი კი ნამდვილად სპობრეიფლად ეცინარია — ეშფილი, გულელი, მუდამ მომღიმარი, ზმაკონარა, ეკესაბნური ფი თან ოფსკორებელი, ზეკონმბიარე. ერთხელ ბავანის ბახლიბლად განლაგებულ ტურისტულ კალაჯში, ბეგანინი ბუბეიეკვანეს — აკ ზეხანბზავად მოწეკობილი ალეკი და ბეკანოდებიდენ დღის კარგად ბეგატრაბა, ბაკრამ ბისგალის ალბარნმა, რომ ეფეფ ამინდის ეკმაკი ეკრანდელი იყო, ჩვენი ბიდი, ზანვი ქალი, რომელსაც რატანდლე ოლოსა ეფუანდი (ბას ბეეარ ბალლო ბჭონდა ბალეკი ხბეულის კარგი ალნავიბისათვის („ხალაბარის კოსკერსებზე"), ალალე ეეზეეხდა, ბაკრამ რას ობაბდა. ამ დროს ეოიეკლოგის ალბარნმეფიან ეეხდიენი. ეეეიდიენი ეეკლოდელი ადამიანები— "ხოვა ან ბიეეონა, რომ „ინიბა" (ეკანური „ინტერნატის" ბავკანი დაწეეხეულება) ვერ მოახერხა „ამინდის ირგანბაეკია". ოლია ალალეკ ბაკჭრა. ილნანი ეეზეეხდა ეეკი ეკანიდან ეკეკანბენში — ილეი და ტაროდა... ბეკონ, ბეეარ ზერატეკი თავინი სიტეკეეეეხისა და ბაკეეედენ! ეეკლეეხეულ თავდაკაკაბ ეეეეანი ალალ ალეკი ეკეკეკ ეკეკეკ და ხინდეკენ. კოზარეკენის ბაკვანიანეეეე

სერგო ქოგუაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქალის პორტრეტი

ვენეცია

ნატურმორტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზამთარი თბილისში

ფოტო თ. არჩვაძისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოვირჯი

რამაზ კობიძე

ხათუნა, ვიცი მე შენი ამბავი, შე ეშმაკო, ვიცი! ჯერ გარე-გარე დადიხარ, ვითომც აქ არაფერიო. მერე კი მომტაცებ ჩემს ბიჭს და მიისაკუთრებ. შენ ესა გაქვს გულებაში. ვიცი, მაგრამ არაფერი გამოგივა. ჯერ დაამთავროს ირაკლიმ საშუალო! რომ გადავმალავ, თვალსაც ველარ მოჰკრავ. რას იზამ? სახლში შემომივარდები? სხვენზე ავმალავ. სხვენზე ახვალ? ქალაქში გავგზავნი. ისწავლოს იქ უმაღლესში, ჯანდაბას! ყველა იქ მიდის და ეგეც იქ იყოს. შენ კი ახლოსაც არ მიგაკარებ. გესმის, რას გეუბნები?

— მესმის, ბიძია ილარიონ!

— მერე?

— ბატონო?

— რა პასუხს მაძლევ?

— რისას?

— რისას და რასაც გელაპარაკები.

— ცოტა მაცალე და ახლავე, ბიძია ილარიონ!

— სანამდე გაცალო?

— ახლავე, ამ გვერდს ჩავიკითხავ.

ხათუნას არაფერი არ ესმის. აივნის ბოლოში, ტახტზე ფეხმორთხმული ზის და წიგნს ჩაკირკიტებს. პირველი კლასიდანვე ფრიადოსანია. ამ გაზაფხულზე საშუალოს ამთავრებს და არ უნდა, პირი შეირცხვინოს. არც შეირცხვენს. მერე კი, ალბათ, უმაღლესში წავა. ყველა იქ მიდის და ხათუნაზეც უპრიანია.

მამამისმა ამ დილით მთხოვა, ურმის თვლები გამომითალეო. არ დავზარდი, მივედი და გამოვუთალე. ახლა იულო სალტეების მოსატანად სამეფდლოში წავიდა, მე კი მზის გულზე ვზივარ, ყალიონს ვაბოლებ და, რაკი ჯერ-ჯერობით საქმე არაფერი მაქვს, ხათუნას ვეხუმრები.

ისეთი ხუმრობა კი ჯერ არავის გაუგონია, რომ შიგ ცოტა მართალი არ ერიოს. რა ვიცი, ჩემი ბიჭი და ხათუნა, მგონი, მართლაც ძალიან მოუხდებიან ერთმანეთს. ირაკლი ფრიადოსანი არ გახლავთ, სწავლის სიყვარული მაინცდამაინც არ გამოჰყვა. მონდომება აკლია. სამაგიეროდ, სხვაშია კარგი: მუშაობა უყვარს, თამამია, გამტანია... მეტი თუ არაფერი, მაგისგან ერთი კარგი ბრიგადირი მაინც გამოვა. ეგ ყანებში იტრიალებს, ხათუნა კი, ალბათ, მასწავლებელი იქნება. ბოდა, რა სჯობია — მოდის ვაუკაცი ქმარი ყანებიდან, დაღლილი. შინ სასწავლი ქალი უსვდება. ოჯახი მოგვლილი და დაკრიალებულია, — ხათუნას ხომ ყველაფერი გამოუდის ხელიდან. კარგი ჩვენებური სადილიც მზად არის. ირაკლი ხელ-პირს იბანს, სადილობენ. მერე ირაკლი ტახტზე წამოწვება, ხათუნა თავთით დაუჯდება, თითებს თმებში ჩაუყოფს და ქვეყნის ამბებს უყვება...

— რა ჰქენი, გოგო, ხათუნა, გვერდი ჩაათავე?

— ბატონო?

— გვერდი თუ ჩაიკითხე-მეთქი?

— ამ წუთში, ბიძია ილარიონ!

— აბა, აბა... შენ იცი...

ირაკლი დილიდანვე უფროსებს გაპყვა ქუთაისში — რაღაც სასოფლო სპარტაკიადა იწყება და უნდა მოვილაპარაკოთო. უთენია ამდგარიყო და სახლიდან გაპარვას აპირებდა.

— სად მიხვალ?

— დედამ იცის.

— მე აღარაფერი მეკითხება?

— ჰკითხე და გეტყვის.

ნამეტანი ზრდილობიანია. ყოველ წუთში — ბატონო ილარიონ, და ბატონო ილარიონ! ასე ვარგა? ვითომდა, ფრიადოსანი ვარ და ყველაფერში სამაგალითო უნდა ვიყოო. დიდი ამბავი, ფრიადოსანი რომ ხარ! ვინც ფრიადოსანი არ არის, პური ველარ უჭამია, თუ? ჩემი ბიჭისგან, აგერ, „ბატონოს“ წელიწადში ერთხელ ვერ გაიგონებ. არ შეგეპამოს მ.წამ! ჯერ მიწას არ აცილებოდა, რომ უფროსებს შენობით დაუწყო ლაპარაკი. აბა!..

მახსოვს, ერთხელ გოდოგნიდან კოლმეურნეობის კანტორისათვის თითრი ქვა მოგვქონდა და წინა ურემი ნარუალში ჩაგვივარდა. ბევრი ვეჯაჯგურეთ, მაგრამ ტუუილად. ველარ ამოგვქონდა. თითისხელა ირაკლიც თან მახლდა. მაშინ ექვსი წლის არც იქნებოდა. ძალიან რომ გავწვალდით და წამოგვადგა, კიდეც, ირაკლიმ ურმის პატრონს, დომენტი ბუბაშვილს ხელი ზედ ცხვირწინ აუქნია და დაუყვირა, — შე უპატრონო, თუ არ შეგეძლო, ურემს რაღას ეკიდებოდი, დამე ტყეში უნდა გავათთოთ, სახლში ხომ გადაირევიან შიშოთ! დომენტი შეკრთა, ჩვენ კი სიცილით

მ ო თ ხ რ ო ბ ა

— გამოცდები?

— ნამეცადინევი ვარ.

— მობრუნდი, ირაკლი!

— მალე მოვალ! საღამოს ვიმეცადინებ.

გავარდა და გაქრა. მეტი მე იმას რა ვუთხრა, ნაქუთაისევს იმან ხელში წიგნი აღარ აიღოს! დაღლილ-დაქანცული ამოვა, სადილობისას სულს მოითქვამს და ისევ დაიკარგება. წადი და სდიე ქარს მინდორში!..

— რას შვები, ხათუნა? ეგ გვერდი რაღაც ძალიან გაგიგრძელდა.

— ვათავებ, ბიძია ილარიონ!

— ე მამაშენიც რომ აღარ ჩანს?

— ბატონო?

— მამაშენი-მეთქი!

— ახლა აგერ არ იყო?!..

— სამეცადინოში წავიდა და დაიკარგა.

— სადმე ეზოში იქნება.

— ჰმ...

ერთი კი არ მომწონს ხათუნასი — კინაღამ დავიხოცეთ. აბა! იმ ამბის გახსენებაზე ახლაც მეცინება. ბე-ბე! ეს ხასიათი თუ ბოლომდე შერჩა, ირაკლისგან ბრიგადირი კი არა, კარგი კოლმეურნეობის თავმჯდომარეც კი გამოვა.

თუმცა... კოლექტივის თავმჯდომარეს ჩვენს დროში ცოდნა სჭირდება. აგრონომი მაინც უნდა იყო. ირაკლი კი, მეტი არაა ჩემი მტერი, აგრონომი არ გამოვიდეს. რაღა წიგნი გიხსენებია მისთვის, და რაღა... აბა, ეს რომაა მიცივებული წიგნზე — ქვეყნად მეტი აღარაფერი ახსოვს... ეს, იცოცხლე, ნასწავლი გამოვა! რატომ, არა... თითქმის გამოხულია კიდეც...

ეჰ, რა მოვუხერხო იმ ჩემს გადარეულს? მეტი ვინმე მყავდეს მაინც, თავიდანვე ვანებივრებდით, მაგისი უფროსი ძმა ომმა შეიწირა და იმიტომ... ახლა კი...

მხატვარი ლია სვანიძე

— ხათუნა, გოგო, მომხედე ერთი, თუ ღმერთი გწამს!

— ბატონო?

— ე-ეჰ! რა იქნა, ქალო, ხულ ბატონო და ბატონო! ისე ვერ დამელაპარაკები?

ხათუნა შეკრთა და შავი გაწკიპული წარბები ზევით-ზევით წაუვიდა. დამაზი წარბები კი აქვს, პირდაპირ დახატული გეგონებათ...

— ერთი მითხარი, თუ ღმერთი გწამს, ჩემი ირაკლისგან გამოვა რამე?

— ვისგან?

— ირაკლისგან-მეთქი? ვერ გაიგე?

ხათუნას თაფლისფერ, დიდრონ თვალებში გაოცებამ ვაუელვა. მერე მხრები აიჩეჩა და ისევ წიგნს ჩაუკირკიტა.

ეჰ, იკითხე, შვილო, იკითხე, როგორც ვატყობ, შენ მაგის მეტი არაფერი შეგიძლია. ცოცხალი ხალხიც არ გინდა, აბა, ჩემს ბიჭს ჰკითხე რომელიმე ამხანაგზე, მისგან კაცი თუ გამოვაო? ჭორიკით მოგაფრინდება! მისი ჭკუით — მისი ამხანაგები სულ დარჩენილი ვაუკაცებია! გაბედავ, შეეკამათები და — პირდაპირ სასიკვდილო მტრად მოგეკიდება. არ ვიცი, რა გამოვა მისგან, მაგრამ ყველას კი ეყვარება, შენ კი, ვაი თუ ეგრე ბუსავით უნდობელი დარჩე შენი სიცოცხლე. რა გიყო? მე რაც შემიძლია, არც ერთს არ დაგამადლით. ერთს ვაჭმევ, ვაცმევ და ვაცხოვრებ. მეორის მამას კი აგერ ბორბალს ვუკოპიტებ. მთელი დღე ამას მივახარჯე. მე ყველასთან პირნათლად ვარ.

ხათუნამ გვერდი გადაშალა, წიგნი მუთაქაზე გაასწორა და ისევ კითხვა განაგრძო. ცოტა ხნის შემდეგ თვალი შემავლო, მუხლებზე კაბა გაიწორა და ისევ წიგნს დაუბრუნდა.

ეჰ, უბედური სიცხე კი იცის ჩვენში. მზე პირდაპირ კისერს მიხვრეტს. ეს იულოც რომ აღარ გამოჩნდა.

— დაგიგვიანდი, ილარიონ ჩემო?

იულო შუა ეზოში დგას, ხელში სალტეები უჭირავს და იღიმება.

— არა, შე კაცო...

— ალექსანდრე მეგედელს ყველა საქმე გადავადებინე და ამას დავუტრიალდით. მაგრამ ამ საოხრემ მაინც ბევრი დრო მოინდომა. კარგები კი უნდა იყოს. აბა, ნახე! თუ ჯერ წავიხაუზმოთ?

— ჯერ საქმე და მერე საუზმე, ჩემო იულო!

სალტეებს ხელში ვატრიალებ. კარგებია. იულო ოდესღაც თვითონ მეგედლობდა. ისედაც საქმიანი კაცია. ქალიშვილიც, ალბათ, მას დაემსგავსა.

— მოდი, მარცხენა თვალი ამიწიე.

— როგორ გავარჩიო, რომელი მარჯვენაა და რომელი მარცხენა?

— აი, მარცხენა ეს არის. მოდი, გვერდზე დამიდექი. აბა!

— აბა!

ჩემს სიცოცხლეში, ალბათ, ათასამდე ურმის თვალი გამიწყვია და ესეც ათასმეერთე იყოს. მარცხენას მალე ვათავებთ, — სალტე ზედგამოჭრილივით მოერგო. ხეს ცოტა გასუფთავება დასჭირდება და მზადაა. იარაღი მივყარეთ და სული მოვითქვით.

— საქმეში ქალიშვილი გჯობნებია.

— რაზე ატყობ?

— დილას აქეთია, იმ წიგნს ჩაკირკიტებს. თავი არ აუწევია.

— მაგისთანა საქმეში მეც მაგარი ვიქნებოდი. მაგან ურმის გაწყობა სცადოს.

— გშურს, თუ?

— ასე ვთქვათ.

ორივენი ვიცინით. მერე მხარზე ხელს ვურტყამ.

— ბიჭო, შე წაწყმენდილო, საკუთარი ქალიშვილის გშურს? აბა, ვისთვის წვალობდი მთელი სიცოცხლე?

— ეჰ, ჩემო ილარიონ! აღარც კი ვიცი, ვისთვის ვწვალობდი. ეჰე, ხომ ხედავ, ზის და ჩაკირკიტებს. მეტი არაფერი ეკითხება. მერე დაკრავს ფეხს, გაფრინდება ქალაქში და მორჩა. უკან ათ წელიწადში ერთხელ თუ ამოიხედა, იმისთვისაც მადლობელი ყოფილა.

— სამაგიეროდ სახელიანი ქალი იქნება.

— მაგას ყველაფერი, მაგას სახელი და მე აღარაფერი?

— მაგის სახელი შენი სახელიცაა.

— ეგ პატარა ნუგეშია.

— გესმის, ხათუნა?

— ბატონო? მესმის.

ხათუნას არაფერიც არ ესმის. სახე მუშტებზე დაუყრდნია და წიგნს რეგ გაფაციცებით ჩასცქერის, პირდაპირ მონუსხული გეგონებათ.

ნე და იულო ერთმანეთს მივჩერებივართ და ვიცინით.

ამას არაფერი არ სჯობია, საქმე რომ ბოლომდე გაქვს მიყვანილი და დაბრკოლებას აღარ ელი. ჩვენ მარჯვენა თვალიც უნდა შემოვსალტოთ და — მორჩა. საქმე მოთავებული გვაქვს. ამიტომ არხეინად ვართ მე და იულო. ვზივართ, თუთუნს ვაბოლებთ და ვმასლაათობთ.

— ჩემი ბიჭის უკმაყოფილო ვარ, ჩემო იულო. ხათუნას კი ვუთხარი, წელან, მაგრამ ყური არ დამიგდო.

— ა?

— ირაკლი, კაცო. შენ, აგერ, იმისი გეშინია, ქალიშვილი დამეკარგება და სანახავად სანატრელი გამიხდებაო. მე — პირიქით. იმ ჩემს გადარეულს ეს კლდე-ღრეები ყველაფერს ურჩევნია.

— მერე?

— არ სწავლობს. ოთხიანი უკანასკნელად ამ სამი წლის წინათ მიიღო. მოიცა! ფერმა ოხომირაში შარშანწინ არ გადავიტანეთ?

— კი.

— ჰოდა — ჩემმა ვაჟიშვილმა ბოლო ოთხიანი სწორედ იმ გაზაფხულზე მოიტანა სახლში. პლატონ ყორეოლაძეს ქიმიაში დაეწერა. ისიც ხათრით, ალბათ. პლატონზე, ყველამ იცით, ბევრი ამაგი მაქვს გაწეული. სახლი სულ ჩემი ხელით გადავუხურე. ჰოდა, ის იყო და ის. მას აქეთ სამიანებზე ძლივს ახლაფორთებს. ამხანაგებში ტრიალს არაფერი ურჩევნია.

— ვიზე ლაპარაკობ, კაცო?!

— ჩემს შვილზე. ირაკლიზე. მეტი არ შემარჩინა ღმერთმა და...

— ჰმ!.. ადექი, ილარიონ, ბარემ ეს თვალიც მოვათავოთ. აღარ მოგშივდა?

— რას მიჯავრდები?

— ვინ გიჯავრდება?

— შენ...

— მოდი, მოდი თუ კაცი ხარ... ე ხუთიანები თუ ასე გენატრება, აგერ, ხათუნას ჩანთა გავსებული აქვს. წაიღე და სულ შენი იყოს. მოდი! მარჯვენა თვალი ეს არის?

— ეგ არის.

— ასე რამ დაგაფეთათ ამ ხუთიანებზე!.. ეს რაღაა?

— ეგ ნარჩენია, ვიფიქრე, იქნებ დაგვჭირდეს-მეთქი.

— აბა!

მარჯვენა თვალი ცოტა გაგვიჭანჭლდა. მეორე მუხლი მესამეს აღარ ერგებოდა, თუმცა, ჩემი ანგარიშით, კარგად უნდა მორგებოდა. სალტის მოხსნა და ნაჯახის მოხმარება დამჭირდა. შეეოფლიანდი კიდეც. მაგრამ იულოსთანა მომხმარე ყველა თქვენს კეთილს მისცეს. ორივემ მოვინდომეთ და ბოლოს მარჯვენა თვალი მარცხენაზე უკეთესიც გამოვიდა. ერთად რომ დავაგორეთ, სწორედ ტყუპებს ჰგავდნენ. ჩამოვჯექით და სადილის წინ თითოც გავაბოლეთ.

— არაფერი არ მინდა, ჩემო იულო, ერთი ის მაცოდინა, როგორ იქნება ამ ქვეყნის საქმე.

— ესე იგი, ომი თუ იქნება?

— ჰო, ეგ მეფიქრება!

— არა, ომი აღარ უნდა იყოს. ა? შენ რას იტყვი?

— მეც ნამდვილად მაგ აზრისა ვარ.

— ჰოდა, აგაშენა ღმერთმა!

— ომი ნამდვილად აღარ უნდა იყოს. ისე კი, ხვალ რა იქნება, ეგ ძნელი სათქმელია, ჩემო ილარიონ. დღესაა და უკვე ვარსკვლავებში დაფრინავენ და მაშინ რაღა იქნება?

— მეტიც იქნება.

— ნამდვილად.

— ისე, ურიგო ბიჭი არც ჩემი ირაკლი უნდა იყოს. ა?

— კარგი, ილარიონ, თუ ღმერთი გწამს!.. ახლა...

— კარგი, კარგი...

ხათუნა აივანზე აღარ ჩანს. მაგას არაფერი გამოპარვია. დედამისი ჩაიშია, და საუზმეს, ალბათ, თვითონ მოგვიმზადებს. წინდაწინვე ვიცი, მისი ხელით გაშლილი სუფრა საამო სანახავი იქნება. ჩვენში იტყვიან, თვალი სვამსო და თვალი ჭამსო.

ის ჩემი გადარეული კი... ერთი, მაცოდინა, ახლა სად არის და რას აკეთებს?



რუთა ბერძენიშვილი

მსოფლიოს ოკეანეში

საბჭოთა მთავრობის დაკვეთით გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში იგება ორი გემი — „გალაკტიონ ტაბიძე“ და „ვასილ კოკვიძე“.

გაზეთებიდან

როდი დარჩება მარტო ჭყვიშში ან მთაწმინდაზე,
ვერ მოერევა დავიწყების რძისფერი ნისლი...
მას ჰქონდა სულში სიყვარულის დიდი სინაზე
და მოჩურჩულე ლაპარაკი იცოდა მისთვის.

მაგრამ ჩურჩული მისი იყო თხრობა კაეშნის,
ან გამოხედვა კაცის მუდამ გაოცებულის;
ვერ ეტეოდა საქართველოს მთების მკლავებში
დიდი სიცოცხლით მოცახცახე მისი სხეული.

წავიდა ჩვენგან... ხალხში დარჩა მაინც უკვდავად
და დღე ცისმარე ის ამ მთებთან ერთად იღვიძებს.
მას „რუსთაველმა“ ოკეანის გზა გაუკვალა
და დიდ ცურვაში ძმად წაჰყვება ვასილ კიკვიძე.
მე ვხედავ ჭაბუკს —
რიონიდან მიდის მხარულით
და ოკეანე ეგებება გადალურჯული...
მან იცის გზები სამყაროსი და სიყვარულის,
მან იცის როგორ დაამშვიდოს ტალღა ჩურჩულით!

ლეილა ნანიკაშვილი

წვიმაში

გახსოვს, მიყვარდა წვიმის ხმაური,
მე დამივიწყე, ეს გახსოვს იქნებ,
ფოთლებზე წვიმის ლაღი ზღვაური,
რომ მიფანტავდა დარდიან ფიქრებს.

მას შემდეგ წვიმა ბევრჯერ მოვიდა,
წვეთი წვიმისა კაცივით მღერის,
იქნება როცა მოდის შორიდან
აქ სატრფოსავით მას ვიღაც ელის.

მღერის თუ ტირის, წვიმას გაუგებ,
წვიმას გაუგებ და კაცს კი ვერა,
ვერ იგრძნობს სულში ძეგლს რომ აუგებ,
ვერც კი მიხვდება, რომ მისი გჯერა...

წვეთი წვეთს მისდევს — შეერთდებიან,
ფიქრი ფიქრს მისდევს და მით ვერთობი,
ნუ გაიკვირვებ, დღეს შენზე მეტად,
ამ წვიმის წვეთებს თუკი ვენდობი.

ტელევიზორის ანტენა და
თოფის ზუმბა

ჩეკი ეიღია...

სოფელი დილაადრიან შეაშფოთა თავზარდამცემმა ამბავმა— წუხელ არჩილ მეზვრიშვილი მოუკლავთო. კარგი მეზობლისა და საუკეთესო ბრიგადირის დაკარგვამ ყველას გული დაწყვიტა. მთელმა კარალეთმა მოიყარა თავი მკვლელობის ადგილზე — არჩილი ღია ცის ქვეშ ეგდო და ირგვლივ მიწა სისხლით იყო მორწყული.

სასწრაფოდ შეატყობინეს გორს ეს ამბავი. ელვის სასწრაფით ამოვიდნენ იქიდან მილიციის მუშაკები — შალვა ვანიშვილი, სოლიკო გორგიშვილი და გრიგოლ სოფრომაძე.

დაიწყო საქმის გამოძიება.

მაგრამ ვის დაადებ ხელს, ვისზე უნდა მიიტანო ეჭვი? ყველას ცრემლი ადგას თვალზე, ყველა გულით სწყევლის საძულველ მკვლელს... აბა გაიხსენეთ, ვინ ემტერებოდა ბრიგადირსო, ვის არ მიმართა ამ კითხვით შალვა ვანიშვილმა, მაგრამ საგულისხმო ვერაფერი გაიგო. მართლაც, საგულდაგულოდ და საგანგებოდ გადამტერებული არავინ ჰყოლია, ისე კი, საქმის დროს, ვისთან არ მოუხდება კაცს შელაპარაკება, მაგრამ ვის გაუგონია, რომ ამ საბაბით კაცი კაცს მოსაკლავად იმეტებდეს!

მკვლელის კვალი თითქოს დაკარგული იყო.

არა, უნდა იპოვნონ, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, უნდა იპოვნონ.

გორის რაიონული მილიციის უფროსის მოადგილე კაპიტანი შალვა ვანიშვილი გამოცდილი კაცია; ამიტომ მან სწრაფად აიღო სწორი გეზი. ვანიშვილმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ არჩილი სანადირო თოფით იყო მოკლული, გულის არე საფანტითა ჰქონდა სავსე.

მაგრამ ვისღა არა აქვს სანადირო თოფი?

ამ ფიქრებში იყო ვანიშვილი; ერთხელ კიდევ დაათვალიერა მან მკვლელობის ადგილი; იქვე, გვერდით სახლს აშენებდნენ. ნახევრად ამოყვანილ კედელთან, მოფარებულში მან გაზეთის დაბმუჭნილ ნაგლეჯს მოჰკრა თვალი. გაზეთს ნაწიბურები შემომწვარი ჰქონდა. მაშასადამე, ვიღაცამ აანთო აქ ასანთი და გაზეთს წაუკიდა, სინათლე სჭირდებოდა — გაურბინა ფიქრმა; ეშმაკმა იცის რისთვის დასჭირდა სინათლე, მაგრამ იქნებ ამ გაზეთმა გახსნას ყველაფერი. ბედზე, გაზეთის ის ნაწილი, სადაც თარიღია აღნიშნული, გადარჩენილი იყო — 1962 წლის 13 სექტემბერი — ამოიკითხა ვანიშვილმა. მერე ფანქრით წარწერილი იყო „შურა", გვარი კი აღარ ჩანდა.

აჩვენეს ფოსტალიონს გაზეთი, მან იცნო თავისი ხელი, მაგრამ ამ ვეება სოფელში მარტო ერთი შურა როდი ცხოვრობს.

ვანიშვილმა მაინც დაიწყო ძებნა, სოფელში მცხოვრები ყველა „შურა" მოინახულა და ვისაც სანადირო თოფი ჰქონდა, ჩამოართვა. მარტო ერთ მათგანს — შურა ღოლენჯაშვილს თოფი სახლში არ აღმოაჩნდა. სოფლელებმა კი დაადასტურეს, რომ მის ხელში თოფი ხშირად დაუნახავთ.

— სად არის შენი თოფი? — ჰკითხა შურას მილიციის უფროსის მოადგილემ.

— კატოს სახლში დამრჩა... იმ დღეს ერთად ვიყავით ვენახებში, მერე მის სახლში ამოვიარეთ, შევისვენეთ და წამოსვლისას წამოღება დამავიწყდა...

ვანიშვილი დაეჭვა ასეთმა გულმავიწყობამ.

— ნუ გაგიკვირდებათ, — დაიწყო ისევ ღოლენჯაშვილმა, — მე და კატოს ერთმანეთი გვიყვარს და ხშირად მიხდება იქ დარჩენა.

მილიციის მუშაკებმა იმავე საღამოს მოინახულეს კატო მეზვრიშვილის სახლი.

— გავიჯეთ, თოფი გქონიათ... — მორიდებით უთხრა შალვამ.

— არჩილის მკვლელს ეძებთ, არა? — რატომღაც გაიღიმა კატომ, — რაო, ეჭვი ჩემზე ხომ არ გაქვთ? მობრძანდით, აგერ ჩემი თოფი, აიღეთ და გასინჯეთ! — მიუთითა იქვე კედელზე.

შალვამ თოფი ჩამოხსნა და შეათვალიერა.

— ეს არის შურა ღოლენჯაშვილის თოფი?

— ღოლენჯაშვილის?! — გაიკვირვა კატომ, საიდან სადაო, ჩემს ოჯახში იმის თოფს რა უნდა?!

— არ ვიცით, თვითონ შურამ თქვა, კატოსთან დამრჩაო!

— ერთი იმ ყეყეჩს დამიხედეთ. დაავიწყდა, რომ წაიღო?!

ქალი აშკარად დაბნეული იყო.

ვანიშვილმა კატოს ჩხრეკის ნებართვა წარუდგინა. ქალმა ლანძღვა-გინებით უპასუხა. ამასობაში მილიციის მუშაკებმა მთელი ეზო გადააბრუნეს, სახლის ყველა კუთხე-კუნჭული დათვალიერეს, მაგრამ ვერაფერს ვერ მიაგნეს. ამით გათამამებულმა კატომ უფრო და უფრო აიმაღლა ხმა. ვანიშვილი შეეჭვდა — იქნებ ღოლენჯაშვილს მართლაც აღარ ახსოვს წაიღო თუ არა თოფი?...

— ნუ ცხარობთ, მოქალაქევ — ამშვიდებდა ვანიშვილი გაკაპასებულ ქალს, — რა ვქნათ, ეს ჩვენი მოვალეობაა... აი ეს ლოგინიც გავსინჯოთ და მერე თქვენ თქვენთვის და ჩვენ ჩვენთვის...

კატოს ფერი ეცვალა. და ის იყო, ვანიშვილმა საბნის ქვეშ დამალული თოფი გამოიღო.

— კარგად გაგიწმენდია! — ცალი თვალით გახედა ორივე ლულას ვანიშვილმა, — ასე საგულდაგულოდ რად დაგიმალავს?

— შვილს ვუმალავდი, მეშინოდა სადმე არ წაეღო და ხიფათს არ გადაჰყროდა!

— შენი თოფი რატომ აღარ დამალე?

ქალი გაჩუმებული იყო, სათქმელი ვერ მოეძებნა. მილიციის მუშაკები ჩხრეკას განაგრძობდნენ. მალე მათ იპოვეს ჩვრები და ტელევიზორის ანტენა, რომელიც კატოს ზუმბად გამოეყენებინა და თოფი გაეწმინდა.

— აბა, კატო, ახლა კი ყველაფერი დალაგებით მოგვიყევი, — უთხრა შალვამ და მაგიდასთან ჩამოჯდა.

კატომ ყველაფერი დაწვრილებით უამბო: — მკვლელობის ღამეს მოვიდა ჩემთან ის ჩემი ცოდვით სავსე, მითხრა: „ეს-ეს არის არჩილ მეზვრიშვილი გამოვასალმე წუთისოფელს, აბა, ვნახოთ ახლა როგორ გამოვა და ჩემს მხილებას დაიწყებსო. თოფი გაწმინდე, შეინახე და არსად გამოაჩინოო".

ღოლენჯაშვილი გამოტყდა — არჩილი მე მოვკალიო.

მოხერხებული ძმები

დაძაბული, ხალისიანი შრომით ცხოვრობს ჩვენი ხალხი. დილიდანვე ყველა საქმეზე მიდის — ერთს ვენახში ეჩქარება, მეორეს — ყანაში, მესამეს — ფერმაში; სხვები დაწესებულებებს მიაშურებენ, რომ არც ერთი წუთი უქმად არ დაკარგონ, საქმეს თავი მოამაბან, ხალხის წინაშე პირნათლად გამოვიდნენ... ასე შრომობენ და ცხოვრობენ ჩვენი ადამიანები, გამსჭვალულნი ურთიერთისადმი პატივისცემისა და სიყვარულის გრძნობით; მარტო თითო-ოროლა ნაძირალა გამოთიშულა მჩქეფარე ცხოვრების ამ დაუცხრომელი რიტმიდან; იმათ ჭირის დღესავით ეზარებათ შრომა და მარტო იმაზე ფიქრობენ, სად რა მოიტაცონ, ვინ მოატყუონ, ვის რა წაჰგლიჯონ, ვინ გაამწარონ და გააუბედურონ; ამ ნაძირალათა რიცხვს ეკუთვნოდნენ ძმები აფხაზოვებიც, რომლებსაც გორის ახლომახლო მიდამოებში ყველა კარგად იცნობდა და რომლებსაც მეტსახელად გოლა-გოლას ბიჭებს ეძახოდნენ. იცნობდნენო, რომ ვთქვით, არ იფიქროთ, რომ სასახელო საქმეებით გაითქვეს მათ სახელი — არა, იცნობდნენ როგორც გაიძვერებს, გათავხედებულ მოძალადეებსა და სპეკულანტებს. გახსოვთ ოსტაპ ბენდერისა და მისი თანამოძმეების მანქანა — „ანტილოპა გნუ"? გოლა-გოლას ბიჭებს ოსტაპის სახელი არც გაუგონიათ, მაგრამ ამგვარ საქმეებში კინაღამ თავიანთ წინამორბედსაც აჯობეს. ვინ მოსთვლის რამდენი წვალება დასჭირდა „ანტილოპა-გნუს" აწყობას — ბაზარში ძებნა იმ ნაწილებისა, რომელიც აკლდა, დასაჯდომის დაკერება, ელექტრომოწყობილობის ახლად დაყენება, შეღებვა და ა. შ. ერთი სიტყვითა, თან გადაჰყვა ოსტაპის ძმაკაცი და ერთგული შოფერი ადამ კოზლევიჩი ამ მანქანის გამართვას.

გოლა-გოლას ბიჭებმა საქმე უფრო ადვილად მოაჯახრაკეს — ააწყეს სატვირთო მანქანა (ოსტაპის რაციონალიზატორული მეთოდით) და გამოიყვანეს გზაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარცხნიდან — შალვა ვანიშვილი, აკაკი გელოვანი, კარლო უნდილაშვილი.

ფოტო თ. არჩვაძისა.

მაგრამ ცარიელი მანქანა რის მაქნისია, თუ ზედ რაიმეს არ დაუდებ? რით შეიძლება დატვირთოს კაცმა მანქანა? რა თქმა უნდა, ვაშლით, მაგრამ, სადა აქვთ ვაშლი გოლა-გოლას ბიჭებს, მე შენ გეტყვი და ხეხილის მოვლით ხელისგულები არ ჰქონდეთ გადატყავებული! მაგრამ რა ვუყოთ, რომ ვაშლი არა აქვთ, ვარიანის საბჭოთა მეურნეობის საწყობში ვაშლის მეტი რა არის?

და აი, მიაყენეს ბიჭებმა მანქანა საწყობს, წაართვეს თოფები ყარაულებს, სცემეს კიდეც, მანქანაც არხეინად დატვირთეს და შორეული ბაზრისაკენ გზას გაუყენეს.

მანქანის სიყვარული არა და არ ასვენებდათ ძმებს — მათ საიდანღაც გაიგეს, რომ კოლმეურნე ქისიშვილმა ლატარიის ბილეთით „მოსკვიჩი“ მოიგო. რად უნდა იმ ბედოვლათს ავტომანქანაო, იფიქრეს ძმებმა და ქისიშვილს ლატარიის ბილეთი წაართვეს.

კიდევ ბევრი რამ ჰქონდათ ჩაფიქრებული გოლა-გოლას ბიჭებს, მაგრამ გორის მილიციაში მათი ამბები რომ გაიგეს, სტაცეს ძმებს ხელი და სადაც ეკადრებოდათ, იქ მიაბრძანეს.

— მადლობა ღმერთს, რომ მილიციამ ამ ნაძირალებს ჭკუა ასწავლაო! — არა ერთგზის გაიგონებდით გორში იმ დღეებში, როცა გოლა-გოლას ბიჭების საქმე სასამართლოს გადასცეს.

მათი უძილო ღამეები

გორის მილიციაში დღისით თუ ღამით დაძაბული მუშაობაა გაჩაღებული. ოფიცერი თუ რიგითი მილიციელი, ავტოინსპექტორი თუ ტექნიკური მუშაკი თავს არ ზოგავენ საბჭოთა ადამიანების მშვიდი ცხოვრების, საბჭოთა სახელმწიფოს დოვლათისა და საკოლმეურნეო ქონების დაცვისათვის, ისინი ერთგულად, ვაჟკაცურად დგანან თავიანთ სადარაჯოზე. მათი უძილო ღამეების შედეგია, რომ რაიონში მკვეთრად იკლო დანაშაულობათა რიცხვმა; აქაური მილიციის მუშაკებმა აღკვეთეს სისხლის სამართლის ოცდაათზე მეტი მოსალოდნელი დანაშაული, მათი ზრუნვის მეოხებით გამოსწორდა და ,ცხოვრების პატიოსან გზას დაადგა ორმოცზე მეტი დამნაშავე.

ერთი წელია, რაც გორის რაიონის მილიციის განყოფილებას სათავეში უდგას პოდპოლკოვნიკი აკაკი გელოვანი. თავის თანამშრომლებთან ერთად ამ მოკლე ხანში მან ბევრი რამის გაკეთება მოასწრო. ეს პრინციპული და გულისხმიერი ადამიანი ოც წელზე მეტია უმწიკვლოდ ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საპატიო საქმეს. ამ დაუღალავ ბრძოლაში ჩვენი ადამიანების კეთილდღეობისათვის გელოვანს მხარში უდგანან მისი მოადგილე შალვა ვანიშვილი, ოპერატიული მუშაკები სოლიკო გორგიშვილი, სიმონ ვანიშვილი, კარლო უნდილაშვილი, რიგითი მილიციელები შალვა გოგიშვილი, შოთა ქოქიევი, ნოდარ მახარაშვილი, ალექსანდრე ნეკერშაველი, ავტოინსპექტორები გოგი გაგნიძე, კარლო ჩუბინიშვილი და სხვები.

როცა ჩვენს მილიციაზე ჩამოვარდება ხოლმე სიტყვა, უმალ გაიხსენებენ რევოლუციის დიდი პოეტის ვლ. მაიაკოვსკის სტრიქონებს პოემიდან „კარგია!“ და ჩვენც კიდევ ერთხელ გვინდა გავახსენოთ მკითხველს ეს სიტყვები:

Моя милиция
меня бережет.
Жезлом правит,
чтоб в право шел.
Пойду направо —
очень хорошо.

ვეღარაფერს დაუმატებთ. ამ ლექსში ყველაფერი ამომწურავად არის ნათქვამი.

გიორგი ხეჩუაშვილი

სიყვარულის ღელვა...

ვახტანგ გოგოლაშვილი

ნინო ფურცელაძე ძალიან ლამაზი ქალი ყოფილა. ვაჟა ბუკარებია. ვაჟას უთქვამს: თქვენ მთაში ვერ გასძლებთ, მე კიდევ ბარადო. ნინო გაუთხოვარი დარჩა. როცა გარდაიცვალა, დებმა საფლავზე ვაჟას სურათი ჩააყოლეს.

ვ. რაზიკაშვილის წიგნიდან
„მამაჩემი ვაჟა-ფშაველა“.

არც ჩარგლურა დაგინახავს,
არც ჩარგალის მთები,
ცრემლებსა და მოლოდინში
გაგითეთრდა თმები.
განა მართლა, განა მართლა
ვერ გაძლებდი ფშავში,
შენზე ნაზი ტირიფები
ირწევიან ფშანში,
შენზე ნაზი პირიმზენი
ქარაფებზე წვანან...
ნაზი ქალი ფშავის მთებში
ვერ გაძლებდი განა?

რა ყოფილა სიყვარული!
გულში ცეცხლად დარჩა,
სულ პატარა სიხარული
და უზომო ტანჯვა.
რა ყოფილა სიყვარული!
გულში ჩარჩა თრთოლვით,
სულ პატარა გაზაფხული
და უზომო თოვლი.

რა ყოფილა სიყვარული!
რაღა დარჩა ბოლოს?
იმედები,
იმედები,
იმედები მხოლოდ.

დაუგვიდი ბანს და ერდოს,
აუნთებდი კერას,
ყაისნაღით მოუქსოვდი
წინდასა და პერანგს,
სტუმრისათვის შესახვედრად
გააღებდი კარებს
და არაგვზე ჩაიყვანდი
იორღას და ხარებს,
გრძელ ღამეში ჭრაქის ნაცვლად
აუნთებდი ბუხარს...
რა ყოფილა სიყვარული!
ქალს გაქცევდა მუხად.

გულში არც კი გაგივლია
მთის ცხოვრების შიში,
მასთან ერთად აიტანდი
სიცივეს და შიმშილს.
დაუზრდიდი ობოლ ბავშვებს,
როგორც ღვიძლი დედა,
ქინვალამდე ჩაპყვებოდი
ბავრხიან მხედარს.

სიკვდილამდე არ ნახავდი
მიტოვებულ თბილისს
რა ყოფილა სიყვარული!
იალონი დილის.

შეახვევდი ხინკლებს დიდრონს
როგორც თუშურ ქუდსა,
ღაჭაურას მუზარადში
ჩაასხამდი ლუდსა.
სათიბს აღმა აიტანდი,
მერე სახნავს დაღმა,
მისი კოცნა, ერთი კოცნა
გაჭფანტავდა დაღლას.
გუთანს კვალში გაპყვებოდი,
აიქნევდი სახრეს...
რა ყოფილა სიყვარული!
ვაი, რად ვერ ნახე.

არც ჩარგლურა შეგხვედრია,
არც ჩარგალის მთები,
ცრემლებსა და მოლოდინში
გაგითეთრდა თმები.
სამარეში ცრემლთან ერთად
ჩაგატანეს ბოლოს

იმედები, იმედები,
იმედები მხოლოდ.
განა მართლა, განა მართლა
ვერ გაძლებდი ფშავში,
კლდეზე წვანან პირიმზენი,
ტირიფები ფშანში.
შენ კი საფლავდაკარგულო,
ვეჯნისხევის ძირას,
ვაჟას სურათს ჩახუტებულს
თვალცრემლიანს გძინავს.
გძინავს მძიმედ და ჩურჩულებ
უკვდავების რომანს...
რა ყოფილა სიყვარული!
ვერ წალეკა დრომაც.

დრო წასულა, გაუთიბავს
ჩარგლის ხევის ფარჩა,
დრო წასულა... ვაჟა დარჩა,
სიყვარულიც დარჩა.
დრო წასულა არ აცილებს
ხმაშრიალი ხეთა,
არაგვიდან თბილისისკენ
ამხედრებულ მხედარს.
დრო წასულა, ვით ჩარგლურა,
წლებიც ისე მიდის...
რა ყოფილა სიყვარული!
სიყვარული დიდი!

ფოკუსი სცენიდან

რუსთაველის სახელობის თეატრის შესასვლელთან უჩვეულო აფიშა გააკრეს: რუხ ფონზე, თითქოს სათამაშო ფარდის უკან პატარა ბიჭის თავი მოჩანდა, თუშური ქუდით. ფარდის ქვემოთ კი ბავშვის ფეხები, ჩრელი ხევსურული წინდა-პაჭიჭით და ქალამნებით შემოსილი. ეს აფიშა ყველას აუწყებდა, რომ სულ მალე რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე სცენაზე წარმოდგენილი იქნებოდა გ. ნახუცრიშვილის პიესა-ზღაპარი „ჭინჭრაქა" (დადგმა მ. თუმანიშვილისა, მხატვრული გაფორმება ო. ქოჩაკიძის, ა. სლოვინსკის და ი. ჩიკვაიძის, მუსიკა ბ. კვერნაძისა). ბევრი ახალი იყო თქმული ამ მცირე აფიშით: ისიც, რომ რუსთაველის თეატრში გაიხსნა ახალი ე. წ. მცირე სცენა და რომ ამ სცენაზე ნაჩვენები იქნება ზღაპარი — პირველი ზღაპარი რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე!

წარმოდგენა ბავშვებისთვის იყო განკუთვნილი, მაგრამ პირველად იგი მაინც უფროსებმა ნახეს, პირველად მათ შეიტყეს ამბავი მეფის ასული მზიანი, რომელიც მუხანათმა ვეზირმა ტყეში დამალა იმისთვის, რომ ძმასთან განეშორებინა, შემდეგ კი ქვეყნის დამპყრობელი ბაყ-ბაყ დევისათვის ტყვედ გადაეცა. მაგრამ მზიას ბედი სხვანაირად შემოტრიალდა, მისი სამშობლო განთავისუფლდა დამპყრობელთაგან გლეხის ბიჭის—ჭინჭრაქას წყალობით, რომელმაც შეშინებულსა და მარტოხელა მეფის ასულს მეგობრული ხელი გაუწოდა. მეგობრობა და სამშობლოსადმი სიყვარული რწმენით და ძალით აღავსებენ ბავშვებს. ეს რწმენა დიდია და ღრმა, სძლევს ყოველივეს, თვით ბაყ-ბაყ დევსაც. ასე გადაარჩინეს მზიამ და ჭინჭრაქამ სამშობლო. სიყვარულმა და მეგობრობამ წოდებრივი საზღვრები მოშალა, თავისუფლება და სიყვარული მოუტანა ხალხს.

მცირე სცენის დარბაზში შემოსული პირველი მაყურებელი ოდნავ გააოცა მისთვის ნაცნობმა დარბაზმა, წინათ საკონცერტოს რომ უწოდებდნენ. სცენა თითქმის ემიჯნებოდა მაყურებელთა დარბაზის პირველ რიგს. ამაზე მეტი სიახლოვე სცენას და დარბაზს შორის არც შეიძლება არსებობდეს.

სცენის მოედნის გასწვრივ თოკი გაუჭიმავთ, ზედ ჭრელად ამოჭარგული ხავერდის ფარდა დაუმაგრებიათ. უნებლიეთ გაგონდება ზაფხულში აგარაკზე გამართული წარმოდგენები, დეკორაციად ვისაც რა აქვს წამოღებული, იმას რომ გამოიყენებენ. ასეა ჩაფიქრებული წარმოდგენა რეჟისორ მიხეილ თუმანიშვილის მიერ — როგორც სპექტაკლი-ხუმრობა, სახუმარო იმპროვიზაცია. იგი აღსავსეა ქართულ ხალხურ თამაშობებსა, წესჩვეულებებსა და საცეკვაო ილეთებზე აგებული ბრწყინვალე რეჟისორული მიგნებებით. ეს ყოველივე ერთიანდება მსუბუქსა და მხიარულ წარმოდგენაში. თითქოს ზაფხულში, სადღაც, აგარაკზე ბავშვებმა და უფროსებმა მოინდომეს ერთად განეცადათ და გაეთამაშებინათ სიყვარულის და მეგობრობის შესახებ ხალხში შეთხზული, ზღაპარში შემონახული ამბავი; ამავე დროს დასცინეს მლიქვნელობას, ჭორიკანობას, ბრიყვი მბრძანებლისადმი მონური მორჩილებას, ჩარლტონითა და ტვისტით გადაჭარბებულ გატაცებას... ეს არის იმის მიზეზი, რომ დარბაზში თავმოყრილი სხვადასხვა ასაკის და ინტერესების მქონე მაყურებელი სცენიდან იმას ღებულობს რაც მისთვისაა ახლობელი და საინტერესო. ამიტომაც დარბაზი ვერ იტევს მაყურებელს „ჭინჭრაქას" ვერც დღის და ვერც საღამოს წარმოდგენებზე.

სცენები სპექტაკლიდან.

სპექტაკლი „ჭინჭრაქა" ერთსულოვნად აღიარეს აქტიორულ სპექტაკლად, თუმცა ძნელია ეპოვნო ეპიზოდი, რომელიც, ამავე დროს, წმინდა რეჟისორულადაც არ იყოს საინტერესო და სახიერი. მაგრამ სწორედ რეჟისორი იმნაირად მიმართავს მაყურებლის ყურადღებას, რომ ერთი წუთითაც არ მოწყდეს იგი მსახიობს. ამაშია მიხეილ თუმანიშვილის უდიდესი შემოქმედებითი გამარჯვება. თავის წარმოდგენაში მან გამოიყვანა რუსთაველის თეატრის წამყვან მსახიობთა დიდი ჯგუფი: ს. ზაქარიაძე — ბაყ-ბაყ დევი, ს. უანჩელი — მზეთუნახავი, მ. ჩახავა — მელია, ე. მანჯგალაძე — დათვი, გ. გეგეჭკორი — მგელი, რ. ჩხიკვაძე — ქოსა მრჩეველი, ზ. კვერენჩხილაძე — ტურა, კ. საკანდელიძე — ჭინჭრაქა, ბ. მირიანაშვილი — მზია და სხვ. ყოველმა მათგანმა თავისი მთავარი თუ ეპიზოდური გმირისათვის შესძლო გამოენახა ისეთი მკვეთრი ხაზი და ფერი, ისე ორგანულად ჩაიბატა სპექტაკლის საერთო ქმედითსა და სახიერ ქსოვილში, რომ ძნელია რომელიმეს მიანიჭო უპირატესობა. ამაშია სპექტაკლის წარმატების მთავარი საიდუმლო, მისი მომხიბვლელობის საიდუმლოც.

მართალია, დრამატურგიულად არცთუ ძლიერი ხერხემალი პიესისა არ იძლევა ძირითადი ამბის თანდათანობითი, ქმედითი ზრდის სურათს. ცალკეული აქტიორულად და რეჟისორულად ბრწყინვალედ ამოხსნილი ეპიზოდები მუდამ არ ფელიან მზიას და ჭინჭრაქას ხაზის განვითარებას. მიუხედავად ამისა, წარმოდგენა მთლიანად არის გამომზეურება თეატრის აქტიორულ ძალთა სიმდიდრისა, აქ ჩანს მთელი კოლექტივის ბრძოლა სცენური სიმართლისთვის, მაღალი რეალიზმისათვის, ეს არის ჭეშმარიტი ხელოვნება — ამაღელვებელი და მკვეთრი, მახვილი და ფერადოვანი, პოეტური.

სპექტაკლი „ჭინჭრაქა" თავისებურად გმირულიც არის და რომანტიკულიც, მაგრამ რომელიღაც ახალი თვისებით, ახალი საღებავებით. ამიტომ არ მოაცებს ის გატაცება, რომლითაც ასახიერებენ ოიდიპოსის, ჰამლეტის, ოფელიას და სხვა ამგვარ გმირთა განმასახიერებელი მსახიობები დევებს, დათვებს, მგლებს და ტურებს. განცდის, ადამიანური სიმართლის და ზღაპრული პირობითობის სახიფათო საზღვარზე დგანან ისინი, მაგრამ ზღვარი არც ერთს არ დაურღვევია. ამ გამოცდილსა და ცნობილ, მსოფლიო რეპერტუარის საუკეთესო როლებით განებივრებულ მსახიობებს იტაცებთ ქართულ ზღაპარში ჩაქსოვილი, ადამიანური კეთილშობილებით სავსე იდეა, მისი გადმოცემის მსუბუქი ფორმა, აზრის სიმახვილე, გრძნობათა სიმართლე. აქ აუცილებლად მართალი უნდა იყო, მეტად ახლოს ხარ მაყურებელთან, თითქმის ხელის გულზე უზიხარ მას. რა ძნელია, იმავე დროს, რა რიგ სასიამოვნოა განიცადო გრძნობათა ასეთი სიმართლე სცენაზე! სწორედ ასეთი სიხარული მოაქვს ჩვენთვის „ჭინჭრაქას" დადგმას — ცხოვრებისეული სიმართლის სიხარული.

ნათელა ურუშაძე



საინტერესო თვალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ნუ დაგვიგვიანებ!“

ჩეხოსლოვაკელმა სპეციალისტებმა მეტად ეშმაკური დანადგარი მოუმზადეს შოფრებს: ისინი მანქანებში ამონტაჟებენ სპეციალურ მოწყობილობას, რომელიც ავტომატურად იწერს არა მარტო მთელი დღის განმავლობაში განვლილ მანძილს, არამედ მანქანის მიერ განვითარებულ სიჩქარესაც.

მაბეზღარა ავტომატის შიშით შოფრები ცდილობენ აღარ გადააჭარბონ დაწესებულ სიჩქარეს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში დაამზადეს ახალი, მეტად ორიგინალური მოწყობილობა, რომელსაც აგრეთვე ავტომანქანებში ამონტაჟებენ.

საკმარისია შოფერმა საათში ასი კილომეტრის სიჩქარეს გადააჭარბოს, რომ ციფერბლატზე ავტომატურად გამოისახება შოფრის ოჯახის წევრების სურათი. „ფრთხილად, შვილო!“ „მამაკ, იფიქრე ჩემზე!“ „ნუ მიმატოვებ!“ — სასოებით აფრთხილებენ მახლობელი ადამიანების სურათები შოფერს.

ამ ღონისძიებამ კარგი შედეგი გამოიღო, მნიშვნელოვნად იკლო ავტოავარიებმა.

ოთხფეხა „კინოვარსკვლავი“

უზარმაზარი შავი კატა — რუბარბი საოცრად ფოტოგენური „მსახიობი“ აღმოჩნდა: დღემდე იგი 250 ფილმში გადაიღეს. რუბარბის პატრონებს ზღაპრულ თანხებს უხდიან ევროპისა და ამერიკის სხვადასხვა კინოკომპანიები, მისი ყოველთვიური შენახვა ხუთი ათასი დოლარი ჯდება.

კინოფირმა „XX სენჩური — ფოკსი“ სპეციალურად ინახავს ორ ექიმს, რომლებიც ფხიზლად ადევნებენ თვალყურს ოთხფეხა „კინოვარსკვლავის“ ჯანმრთელობას.

სიზარმაცე და სკლეროზი

სპეციალისტები დიდხანს აწარმოებდნენ დაკვირვებებს იმის დასადგენად, თუ რა მიზეზები იწვევს გვირგვინოვანი არტერიის სკლეროზს.

მრავალრიცხოვანი მონაცემების გულმოდგინედ შესწავლამ ნათელი გახადა, რომ აქტიური ტემპერამენტის მქონე ადამიანები ნაკლებ მიდრეკილებას იჩენენ ინფარქტისადმი. ამ დაავადებით გამოწვეული სიკვდილიანობის შემთხვევები უფრო ხშირია ზანტ და ზარმაც ადამიანებში.

განოყიერებული ჰაერი

ნიადაგში სასუქების შეტანა მოსავლის გადიდებას იწვევს; ხომ არ შეიძლება ჰაერის „განოყიერებითაც“ გავადიდოთ მოსავალი?

ამ საკითხის გასარკვევად უნგრელმა სპეციალისტებმა ჰაერში ხელოვნურად გაზარდეს ნახშირორჟანგის შემადგენლობა. დახურულ სათბურებში ნახშირორჟანგის ერთ პროცენტამდე გაზრდამ საოცარი შედეგი გამოიღო: ბოსტნეული ჩვეულებრივ დროზე უფრო ადრე დამწიფდა და ერთიორად მეტი მოსავალი მოგვცა.

ქვები ლაპარაკობენ

ეპიტაფია მოკლე და მკაფიო ცნობაა იმაზე, თუ რას წარმოადგენდა ქვეყნად „ამ ლოდს ქვეშა მდებარე“. ძუნწი სტრიქონები მიუკერძოებლად მოგვითხრობენ დიდი პოეტების, გამოჩენილი სწავლულების, მეფეებისა თუ მამაცი მეომრების საქმიანობაზე. ქვები ლაპარაკობენ ყველაზე უბრალო ადამიანებზეც. ისინი ზეიმობენ, ნაღვლობენ, საყვედურობენ. ზოგჯერ განვლილ ცხოვრებას იხსენებენ დაცინვით ან თბილი იუმორით. ქვემოთ ჩვენ მოგვყავს რამდენიმე ნიმუში ეპიტაფიებისა.

ასურეთის მეფე სარდანაპალი

გემრიელად ვჭამდი, ტკბილად ვსვამდი და გულიანად ვმხიარულობდი, სხვა დანარჩენს კი არავითარ მნიშვნელობას არ ვაძლევდი.

ალექსანდრე მაკედონელი

ეს საფლავი საკმარისი აღმოჩნდა მისთვის, ვისაც არ ჰყოფნიდა მთელი სამყარო.

თერმოპილის გმირები

მგზავრო, თუ სპარტაში მიდიხარ, გადაეცი ყველას, რომ ჩვენ პატიოსნად მოვიხადეთ ვალი და აქ დავიხოცენით.

გადასახლებაში გარდაცვლილი სციპიონ აფრიკელი

უმადურო სამშობლოვ, შენ ვერ მიიღებ ჩემს ძვლებს!

ვირგილიუსი

მანტუამ მომცა სიცოცხლე, ბრინდიზმა — სიკვდილი, ნეაპოლმა — საფლავი. მე ვუმღეროდი მწყემსებს, მხვნელ-მთესველებსა და გმირებს.

იან დესპოუტერი
(ფლამანდიელი გრამატიკოსი)

მე კარგად ვიცოდი გრამატიკა და უნარი შემწევდა მებრუნებინა სხვადასხვა არსებითი სახელი, მაგრამ სამარეში ვერ შევძელ ერთხელ მაინც გადავბრუნებულიყავ.

ნიუტონი

ეს მარმარილოს ლოდი აღიარებს ისააკ ნიუტონს მოკვდავად, მაშინ როცა დრო, ბუნება და ზეცა მოწმობენ მის უკვდავებას.

გენერალი მონტეკუკოლი
(XVII საუკუნე)

შეჩერდი, გამვლელო, შენ ფეხს ადგამ გმირს!

ძველი ბერძენი ექიმის საფლავზე

სალამი, ხარონ! ჯერ არავინ არ დაბრუნებულა საიქიოდან, რომ შენს შესახებ ცუდი რამ ეთქვა, მაგრამ ბევრი კი იხსენი ამ ცხოვრების სიავისაგან

ყოვლისშემძლე ძმარი

შალის კაბის ან პიჯაკის ოდნავ გაქონილი საყელო კარგად იწმინდება ძმრის თბილ ხსნარში დასველებული ნაჭრით.

თერმოსში უსიამოვნო სუნი რომ მოსპოთ, საკმარისია მასში ძმრიანი წყალი გამოავლოთ.

თუ მოხარშვის დროს კვერცხი გაიბზარა, წყალში ცოტაოდენი ძმარი ჩაასხით, რომ ცილამ არ გამოჟონოს.

თითბერის ნივთები კარგად იწმინდება მარილგარეული ძმრით. გაწმენდის შემდეგ თუ მათ რბილი ჩვრით გავაპრიალებთ, ნივთებს პირვანდელი ბრწყინვალება დაუბრუნდება.

საინტერესო თვალი

ორიოდე სიტყვით

მსოფლიოში პირველი გეოგრაფიული რუკა 2.200 წლის წინათ დაამზადეს, რუკაზე აღნიშნული იყო ის რაიონები, რომელთა მოსახლეობას ხარკი უნდა გადაეხადა.

* * *

ჩიკაგოს ერთ-ერთ მაღაზიაში ჩაატარეს დაკვირვება, რომელმაც ნათელი გვჩვენა, რომ მამაკაცებთან შედარებით ქალები თითქმის შვიდჯერ მეტ დროს ანდომებენ საჭონლის ყიდვას.

* * *

ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოთვალეს, რომ ყოველ ხუთ ქვრივ ქალზე ერთი ქვრივი მამაკაცი მოდის. ამ გარემოებას იმით ხსნიან, რომ ამერიკაში ქალები საშუალოდ ხუთი წლით მეტს ცოცხლობენ მამაკაცებზე.

* * *

ინგლისში აპირებენ შემოიღონ ე. წ. „წიგნის დღე“. ამ დღეს ყველა ადამიანი მოვალეა გულდასმით გადაათვალიეროს თავისი ბიბლიოთეკა და აღმოჩენილი სხვისი წიგნი დაუყოვნებლივ დაუბრუნოს პატრონს.

* * *

ახლად აგებული ნორვეგიული გემი „ბორგსტონი“ ერთადერთია მთელს მსოფლიოში, რომელზედაც ფეხბურთის ნამდვილი მოედანია მოწყობილი. ამ მოედანზე ყოველდღე გაცხოველებული შეჯიბრებები იმართება.

* * *

სიმკაცრით ცნობილმა ფეხბურთის მსაჯმა ფრანსისკო ოლმერმა ამას წინათ კედლის საათი მიიღო საჩუქრად. საათი ყოველი თხუთმეტი წუთის გასვლის შემდეგ მსაჯივით იწყებს სტვენას და თან მკაცრად გაიძახის: „გაფრთხილებას გაძლევთ!“

* * *

საბჭოთა კავშირში დაიწყეს პლასტმასის სანადირო თოფების გამოშვება. ახალი თოფები გაცილებით მსუბუქია და 2,5-ჯერ ნაკლები ღირს ჩვეულებრივ თოფზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სუფთა სახელი

ჩვენს თაობას უშანგი ჩხეიძე სცენაზე არ უნახავს, ჩვენთვის ლეგენდად იქცა ეს სახელი. მხოლოდ ფირფიტებზე ჩანაწერებით ვიცნობთ მის შემოქმედებას. რამდენჯერ გამოვლია გულში — ამ ფირფიტებიდან რომ ასე გვაჯადოებს უშანგის ხმის გასაოცარი ნიუანსები, რა იქნებოდა იგი სცენაზე, თამაშის დროს, მაყურებელთა თვალწინ?! ჩაწერა ხომ დიდი ხნის შემდეგ, უკვე ნაკლებმოუფარმა, ჩვეულებრივ პირობებში მოახდინა! დიახ, უშანგი სცენაზე არ მინახავს, მაგრამ მე მჭონდა ბედნიერება, თითქმის მთელი თვე მეცხოვრა დიდი მსახიობის გვერდით, თვალუური მედევნებინა მისთვის და, რაც მთავარია, ხშირად მესაუბრა მასთან.

1949 წლის ზაფხულში სურამის სანატორიუმში ვისვენებდი. ვეებერთელა პალატაში სულ ახალგაზრდები ვიყავით და ძალიან მხიარულად ვატარებდით დროს. ჩემი ჩასვლიდან სამი დღის შემდეგ უშანგი ჩამოვიდა და ჩვენი პალატის გვერდით ორ ადგილიან ოთახში მარტო მოათავსეს.

იმ პერიოდში სცენით ვიყავი გატაცებული და საკმაოდ კარგ სცენისმოყვარედაც ვითვლებოდი, თეატრალურ ინსტიტუტში ვაპირებდი შესვლას. ამიტომ თავაუღებლივ ვკითხულობდი თეატრალურ ლიტერატურას და კერძოდ, საფუძვლიანი წარმოდგენა მჭონდა უშანგის მოღვაწეობაზე. უშანგი არასოდეს არ მენახა პირადად. და აი, სანატორიუმის ფართო ვესტიბიულში დავინახე ახოვანი, განიერბეჭებიანი და ძვალმსხვილი კაცი. მიმზიდველი, ვაუკაცური სახე ჰქონდა, თხელი, კეხიანი ცხვირი... მაგრამ ყველაზე გასაოცარი მაინც თვალები ჰქონდა, ჩემს სიცოცხლეში ალარ შემხვედრია ასეთი თვალები: ოდნავ ირიბად გაჭრილი, ფართოქუთუთოებიანი, სხივიანი, მომაჯადოებელი...

პირველ ხანებში გამოლაპარაკებასაც ვერ ვუბედავდით და შორიდან ვადევნებდით თვალს. უყვარდა მარტოობა, წამოისხამდა შვინდისფერი ბიაზის შავარშიან პიჟამოს (რომელიც უჩა ჯაფარიძის მიერ დახატულ პორტრეტზე აცვია) და დასეირნობდა ე. წ. „პატარა ტყეში". სანატორიუმის ვესტიბიულში დიდი, თეთრი სავარძელი იდგა. და თუ ხალხმრავლობა არ იყო, ხანდახან იმაზე წამოწვებოდა. იმავე ვესტიბიულში რადიომიმღები იდგა. უშანგის ჩამოსვლის მეორე თუ მესამე დღეს ფეხბურთის მატჩის რეპორტაჟი იყო მოსკოვიდან. უშანგი გამოვიდა, ეტყობოდა, მატჩის შედეგის გაგება სურდა, მაგრამ რადიომიმღებთან უამრავი ხალხი იყო მოგროვილი და ალარ მოვიდა. მე მისკენ გავიხედე და თითით მიმიხმო. ხელად მივირბინე. ანგარიში მკითხა. ჩვენები აგებდნენ და შევამჩნიე, როგორ აღელდა... არ ვიცი რატომ, მაგრამ გამოაცა მისმა ასეთმა ინტერესმა ფეხბურთისადმი. ასე მოხდა მასთან პირველი გამოლაპარაკება, უცნაურია, მაგრამ სპორტულ თემაზე. ისიც კი მითხრა, რომ ჩემს ცხოვრებაში არ ვყოფილვარ სტადიონზე, მაგრამ მაინც ძალიან განვიცდიო.

იმ დღიდან ჩვენ უკვე ნაცნობები ვიყავით და აბა, რაღას მოვეშვებოდით. განსაკუთრებით მე და ნოდარ ალანია (ამჟამად ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი) ვსაუბრობდით ხანგრძლივად უშანგისთან. მისი ოთახის ხშირი სტუმრებიც გავხდით. პაწია მაგიდაზე ვაჟა-ფშაველას რამდენიმე წიგნი იდო. მაშინ უშანგი „ბახტრიონს" ამზადებდა წასაკითხავად.

უშანგი შესანიშნავად იცნობდა ქართულ ლიტერატურას, როგორც ძველს, ისე თანამედროვეს (თვითონაც ხომ საკმაოდ მახვილი კალამი ჰქონდა). როგორც შევატყე, თეატრზე ლაპარაკს გაურბოდა. რამდენიმე დეტალი მაინც გვითხრა თავისი აქტიორული პრაქტიკიდან. მე დღემდე მაკვირვებს ერთ-ერთი მათგანი. აი, დაახლოებით რა გვიამბო უშანგიმ:

— თეატრში სპექტაკლის დაწყებამდე ძალიან ადრე მივდიოდი. ჩავიცვამდი, მივუჯდებოდი სარკეს და ჩემი ხელით ვიკეთებდი გრიმს. შემდეგ საკუთარ ორეულს მივაშტერდებოდი სარკეში, სცენაზე გასვლამდის... რათა მე დავშორებოდი უშანგი ჩხეიძეს და ვქცეულიყავ ჰამლეტად თუ ურიელ აკოსტად. ანტრაქტებშიაც განმარტოებით ჩავიკეტებოდი და თვალებდახუჭული ვირინდებოდი, რათა არ დავბრუნებოდი სინამდვილეს...

უშანგი აღტაცებით იხსენებდა კოტე მარჯანიშვილს... ასევე სიყვარულით წარმოთქვამდა სერგო ზაქარიაძის, ვასო გოძიაშვილის, გიორგი შავგულიძის სახელებს. ვერიკო ანჯაფარიძეზე მოკლედ თქვა: „მის ბრწყინვალე ოფელიასა და ივდითს უნდა ვუმადლოდე ჩემს ჰამლეტსა და ურიელს. მის ახლოს მე ნამდვილი ჰამლეტი თუ ურიელი ვხდებოდიო". ეს ფრაზა თავისთავად ბევრს მეტყველებს შემოქმედებითი ფსიქოლოგიის საიდუმლოებების ასახსნელად.

* * *

სანატორიუმის წინ მერცხლის ბუდეები იყო. ერთხელ ახლად შებუმბლული ბარტყი გადმოვარდნილიყო. უშანგიმ აიყვანა, ხელის გულზე დაისვა, განმარტოვდა და მთელი დღე ეალერსებოდა, რაღაცას ებუტბუტებოდა.

ყველანი უდიდესი პატივისცემით ეპყრობოდნენ უშანგის. ხშირად მოდიოდა მასთან ხაშურის რაიკომის მაშინდელი მდივანი გრ. ფოფხაძე. სიმონ ჩიქოვანი ბორჯომიდან ამოდიოდა უშანგისთან სასაუბროდ. კონსტანტინე ლორთქიფანიძის ცოლ-შვილი ჩვენს სანატორიუმში ისვენებდა და ისიც შაბათ-კვირას იქ იყო. ხელცარიელი არავინ მოდიოდა, მაგრამ უშანგი საერთოდ ძალიან ცოტას ჭამდა და ყოველთვის ჩვენს პალატაში შემოიტანდა ხოლმე მოტანილ სანოვაგეს.

ჩვენ მაინც ახალგაზრდები ვიყავით და ხშირად გვავიწყდებოდა, რომ ჩვენს გვერდით ოთახში დიდი შემოქმედი იყო. ღამღამობით ავტეხდით ერთ აურზაურს. ერთხელ, სინათლე ჩაქრობილი გვქონდა და ხმამაღლა ვლაზღანდარობდით, ვხარხარებდით... სანატორიუმის დირექტორი ალ. შევარდნაძე შემოვიდა. ლაზათიანად გამოგვლანძღა — უშანგის აწუხებთო. ის იყო დირექტორი გავიდა, რომ აივნის კარებში, მთვარის მკრთალ შუქზე საცვლების ამარა უშანგი აღიმართა მოჩვენებასავით (ჩვენს ოთახებს საერთო აივანი ჰქონდა): „—რაო, ბიჭებო, დაგმოძღვრათ, არა?! მიდით, იმხიარულეთ, მაგას უყურებთ?! თქვენხელა რომ ვიყავი, მთელ ქუთაისს ვაზანზარებდი!" ხმამაღლა გაიცინა და გაბრუნდა...

შემდეგ რამდენიმე დამსვენებელმა მიმგზავნეს უშანგისთან,—სურათი გადაიღოს ჩვენთანო. ჯერ იუარა, არ მიყვარს ფოტოაპარატის წინ დგომაო, მაგრამ მაინც დაგვთანხმდა და ორი სურათი გადაიღო ჩვენთან. ერთი სწორედ იმ აივანზე გადმომდგარმა და მეორე ვესტიბიულში. დღეს ეს ფოტოსურათები უძვირფასესი რელიქვიებია ჩემთვის და ალბათ, იმათთვისაც, ვინც მასზეა აღბეჭდილი დიდი მსახიობის გვერდით.

ქართველ ხალხს ერთი მეტად თავისებური ჩვეულება აქვს—ერის გამოჩენილ და საყვარელ შვილებს მხოლოდ სახელებით იხსენიებს. ქართველი კაცი იტყვის — შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა, ვანო, კოტე, გალაკტიონი, ნატო და უკვე გასაგებია, თუ ვისზეა ლაპარაკი. ეს ფამილიარობა როდია, ეს მხოლოდ და მხოლოდ განუსაზღვრელი სიყვარულისა და ეროვნული სიამაყის ტკბილი გამოძახილია. ნამდვილად ღირსეული შვილი უნდა იყოს ადამიანი თავისი ხალხისა, რომ ასეთ მაღალ აღიარებას მიაღწიოს. უშანგი ჩხეიძე სწორედ ამ ბედნიერ გამონაკლისთა რიცხვს ეკუთვნის. საკმარისია ითქვას მხოლოდ მისი სახელი — უშანგი და ყველამ იცის, რომ ჩხეიძეზეა ლაპარაკი. ამ უპრეტენზიო სტრიქონებში მეც მხოლოდ სახელით ვახსენებდი უკვდავ ხელოვანს. დე, მაპატიოს ეს მისმა ბუმბერაზმა აჩრდილმა.

ალეკო სანადირაძე

ეროვ. ბიბ. კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

• ალექსანდრე • ბაგრატიონი

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში სტუმრად ჩასულ ტურისტებს დღესაც უჩვენებენ პლევნის მიდამოებს, სადაც გასულ საუკუნეში რუსმა მხედრებმა თავდადებული ბრძოლები გადაიხადეს მომძე ბულგარელების გამოსახსნელად თურქთა უღლიდან. ჩვენ გვინდა ამ გმირული ბრძოლების ერთი ქართველი მონაწილე გავიხსენოთ.

მეცხრამეტე საუკუნეში, რუსეთის არმიის რიგებში მრავალი ქართველი იბრძოდა, რომლებმაც თავიანთი ნიჭითა და გმირობით არა ერთგზის დაუმშვენეს მხარი თავიანთ რუს თანამოძმეებს. სახელოვან ქართველ მეომართა რიცხვს ეკუთვნოდა ფართო საზოგადოებისათვის დღეს ნაკლებად ცნობილი გენერალი, გამოჩენილი სამხედრო მოღვაწე ალექსანდრე კონსტანტინეს-ძე იმერეტინსკი (ბაგრატიონი).

ალექსანდრე ბაგრატიონი 1837 წელს დაიბადა. წარმოშობით იგი ბაგრატიონთა საგვარეულოს იმერეთის შტოს ეკუთვნოდა.

ალექსანდრე ბაგრატიონის მხედართმთავრულმა ნიჭმა განსაკუთრებით იჩინა თავი რუსეთ-თურქეთის ომში (1877-1878 წ.); ფრონტზე მთელი რიგი წარუმატებლობის შემდეგ რუსეთის არმიის უმაღლესმა სარდლობამ არჩევანი ალექსანდრე ბაგრატიონზე შეაჩერა. იგი მოქმედი არმიის შტაბის უფროსად დანიშნეს და დაავალეს ხელმძღვანელობა გაეწია პლევნის ცნობილი შტურმისათვის.

პეტერბურგში 1912 წელს გამოცემულ სამხედრო ენციკლოპედიის მეათე ტომში დაწვრილებით არის აღნიშნული ალ. იმერეტინსკის ღვაწლი ზემოხსენებული ომის წლებში; ენციკლოპედიაში იმერეტინსკი დახასიათებულია, როგორც შესანიშნავი ორგანიზატორი, რომელმაც „მოკლე დროში მოახდინა შტაბის ორგანიზაცია, მის შემადგენლობაში შეიყვანა ჩინებული სპეციალისტები. შტაბი მისი ხელმძღვანელობით დღე და ღამე მუშაობდა. მან სწრაფად დაამყარა წესრიგი განვლილ შტურმებში წარუმატებლობით გულგატეხილი ჯარის ყველა ნაწილში".

აი რას წერდა გამოჩენილი ქართველი მწერალი და პუბლიცისტი გიორგი წერეთელი ამ ცხარე ბრძოლების შესახებ: „ყველას ემახსოვრება ის შემაძრწუნებელი დრო, როდესაც ბულგარეთში მთელ რუსეთის მხედრობას განის გზით შეეტეხა სახელგანთქმული ოსმან-ფაშა პლევნაში და ჰპამობდა მთელი რუსეთის არმია შუაში გაეჭრა... ამ დროს არმიის შტაბის უფროსად იყო ალ იმერეთინსკი. მან შეთხზა ახალი სამხედრო გეგმა რომ ოსმან-ფაშას პლევნაში გარს შემორტყმოდა და მთელი თავისი მხედრობით ტყვედ წაეყვანა. ამ განზრახვით მან ორჯერ აიღო ლოვჩა და მერე დუბნიკი. თვით ბალკანეთის ქედზე გადასვლა და კონსტანტინეპოლის ქალაქამდის იერიშის მიტანა ალ. იმერეთინსკის საქმე იყო" („კვალი" № 6, 1897 წ. გვ. 125-126).

გამოჩენილი სამხედრო მოღვაწე ალექსანდრე ბაგრატიონი 1900 წელს გარდაიცვალა.

ჩვენი სახელოვანი თანამემამულის ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობა რუსეთის არმიაში ერთ-ერთი ნათელი ფურცელია რუსი და ქართველი ხალხების იმ ურყევი მეგობრობისა, რომელსაც საუკუნეების მანძილზე ეყრებოდა მტკიცე საძირკველი.

ბურამ შენგელია

...ბოლოდროინდელ პროგრესის ქარხანაში

არიან ადამიანები, რომელთა სახელებსაც ისტორია არ ივიწყებს. ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის ვლადიმერ ბექაური, ცნობილი გამომგონებელი, თვალსაჩინო რევოლუციონერი და საზოგადო მოღვაწე, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო საბჭოთა არმიის უახლესი საომარი ტექნიკით აღჭურვის საქმეს.

ვ. ი. ბექაური დაიბადა 1882 წლის 27 დეკემბერს, სოფ. ალში (ხაშურის მახლობლად). მამა ადრე გარდაეცვალა. სკოლის ასაკის რომ გამხდარა, დედას ხაშურის რკინიგზის სკოლაში შეუყვანია. შემდეგ ვლადიმერი თბილისში გამომგზავრებულა და რკინიგზის ტექნიკურ სასწავლებელში დაუწყია მეცადინეობა. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ვ. ბექაური ხაშურის რკინიგზის დეპოში მუშაობდა ჯერ ზეინკლად, ბოლოს კი ტექნიკოსად. აქვე ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. 1905 წლის რევოლუციის პერიოდში ვ. ბექაური აქტიურ მონაწილეობას იღებდა ხაშურის რკინიგზელთა გამოსვლებში. რევოლუციურმა კომიტეტმა მას, როგორც გამომგონებლობის ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანს, ბომბების დამზადება დაავალა.

ვლადიმერ ბექაურმა თავის ბინაზე მოაწყო იარაღის დასამზადებელი ლაბორატორია, სადაც ბომბებს აკეთებდა. მანვე გუთნის თვლებზე (ღირღიტაზე) რკინის სალტეებითა და ჭანჭიკებით დაამაგრა ორთქლმავლის ერთ-ერთი მილის ნაჭერი, საკეტი მოარგო და ზარბაზანი გააკეთა. ეს იყო მეტად პრიმიტიული, მაგრამ მაინც პირველი არტილერია, პირველი ქვემები რევოლუციისა; როცა კაზაკები სურამის მხრიდან ხაშურში შემოდიოდნენ, ეს თვითნაკეთი ზარბაზანი მაღლა გორაზე აიტანეს და ისროლეს. კაზაკები შეშინდნენ და უკან გაიქცნენ. მაგრამ შემდეგ გონს მოვიდნენ და აჯანყებულებს შემოუტიეს.

კაზაკები და ჟანდარმერია დიდხანს დასდევდნენ ვ. ბექაურს და იგი იძულებული გახდა დაეტოვებინა ამიერკავკასია. ბექაური ჩადის პეტერბურგში, სადაც ცოლად ირთავს პუტილოვის ქარხნის მეჭედლის ქალიშვილს, ეროვნებით შვედს, ლიდია ვალსტრემს, რომელთანაც მას შეეძინა ერთი ქალიშვილი — ნინო. მისი ოჯახი ცხოვრობდა პატარ-პატარა ტექნიკური გამოგონებების, გაუმჯობესებებისა და შემთხვევითი კერძო დაკვეთებიდან მიღებული შემოსავლით.

სოციალისტური რევოლუციის პირველსავე წლებში ბექაურის გამოგონებებმა მიიპყრო ჩვენი პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა ყურადღება. ლენინი დაინტერესდა მისი მუშაობით და ესაუბრა კიდევაც გამომგონებელს.

1921 წლის ივლისში შრომისა და თავდაცვის საბჭომ განიხილა ვ. ბექაურის ნამუშევრები და გასცა განკარგულება მისი გამოგონებების ფართოდ დანერგვის თაობაზე. ბექაურს გამოუყვეს საჭირო სახსრებიც, მისცეს კარგად მოწყობილი სახელოსნო, სათბობი და ტრანსპორტი.

სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველი ნ. გორბუნოვი იგონებს: „მე ძალიან კარგად მახსოვს ვლადიმერ ილიჩის მთელი რიგი საუბრები და შეხვედრები ცალკეულ გამომგონებლებთან. იგი ღრმად სწვდებოდა სხვადასხვა დიდმნიშვნელოვან გამოგონებებს. ვ. ბექაურმა მოახდინა დემონსტრირება თავისი ორი გამოგონებისა: ბგერითი სიგნალების საშუალებით მართვისა შორი მანძილიდან და უაღრესად გონებამახვილური კონსტრუქციის ცეცხლგამძლე კარადის, რომლის გატეხვა არ შეიძლებოდა. აღნიშნული გამოგონება უურადღებას იპყრობდა იმით, რომ რთული ტექნიკური ამოცანა გადაწყვეტილი იყო არაჩვეულებრივი უბრალოებით, სიმარტივითა და ტექნიკური იდეის დახვეწილად განხორციელებით. ამ ტექნიკური გამოგონების იდეას უველა განცვიფრებაში მოჰყავდა — სრულიად ნათელი იყო, რომ ჩვენ ვ. ი. ბექაურის სახით გვყავდა უდიდესი გამომგონებელი და განსაკუთრებული ტალანტის მქონე კონსტრუქტორი. ვ. ი. ბექაურს შეუქმნეს შესაფერისი პირობები მუშაობისათვის. ამის შედეგად მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა დიდი საგამომგონებლო საკონსტრუქტორო დაწესებულება, რომელიც ამჟამად მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჩვენს ტექნიკაში".

ვ. ი. ლენინმა ბექაურს დაავალა საათავეში ჩადგომოდა ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყნისათვის ახალ საქმეს — უახლესი გამოგონებების ექსპერიმენტულ სახელოსნოს, რომელიც შემდეგ სპეციალური დანიშნულების უახლესი გამოგონების განსაკუთრებულ ტექნიკურ ბიუროდ გადაკეთდა.

ვ. ი. ლენინი დიდ უურადღებას იჩენდა ამ დაწესებულებისადმი. მან დაავალა საბჭოთა ხელისუფლების უველა ორგანოს უოველმხრივი დახმარება გაეწიათ ბექაურისათვის ტექნიკური ბიუროს ორგანიზაციისა და ხელმძღვანელობის საქმეში.

ვ. ი. ბექაურს ეკუთვნის 50-მდე გამოგონება მეცნიერების და ტექნიკის მნიშვნელოვან დარგებში. სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე მის გამოგონებებს, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს საბჭოთა საზღვაო ფლოტის უახლესი ტექნიკით შეიარაღების საქმეში, საბჭოთა მთავრობამ მაღალი შეფასება მისცა. ბექაური დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით და წითელი ვარსკვლავის ორდენით.

ვ. ი. ბექაური ჩვენი ქვეყნის გულწრფელი პატრიოტი იყო. მან თავისი სიცოცხლე მტკიცედ დაუკავშირა კომუნიზმის მშენებელ საბჭოთა ხალხის ცხოვრებას. მას თავისი პრემიალური ჯილდოები არა ერთხელ მოუხმარებია თავისი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების საქმისათვის. სამოქალაქო ომის წლებში მიღებული პირველი პრემიალური ჯილდო მან მთლიანად გადასცა ვოლგისპირეთის დამშეული მშრომელების დამხმარე ფონდს. 1931 წელს ახლად მიღებული პრემიით მშობლიურ კოლმეურნეობას ტრაქტორი უუიდა. 1934-1936 წლებში კი გამომგონებლობიდან მიღებული პრემიალური თანხებით მშობლიური ხაშურის ცენტრსა და სოფელ ალში ააშენა საავადმყოფოები, რომლებსაც თვითონვე შეუძინა სამამულო და საზღვარგარეთული მოწყობილობა.

ვ. ი. ბექაურს კიდევ დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლო პარტიისა და ხალხისათვის, პიროვნების კულტის პერიოდის უხეში თვითნებობის მსხვერპლი რომ არ გამხდარიყო. იგი დაიპატიმრეს 1937 წელს ცილისწამების საფუძველზე და რეაბილიტირებული იქნა სიკვდილის შემდეგ.

ზალვა გოგიძე

დედაბერი ‖ გოჯი

ეს ინგლისური ზღაპარი თავისი სტრუქტურით მოგვაგონებს ჩვენს ქართულ ზღაპარს, „რწყილი და ჭიანჭველა". დედაბრის შეხვედრა სხვადასხვა საგნებთან და ცხოველებთან ძლიერ ჰგავს ქართული ზღაპრის პერსონაჟის თავგადასავალს; ისიც ხომ ასე თავგამოდებით ცდილობს მეგობრის გადარჩენას.

„რწყილი და ჭიანჭველა" მრავალმხრივ არის საინტერესო. მას ჩვენშიაც, ქართულ ფოლკლორშიაც მოეპოვება პარალელები და ვარიანტები. ანალოგიური სიუჟეტი სხვა ხალხთა ფოლკლორშიც გვხვდება; ნ. გელოვანი მკითხველებს პირველად აცნობს ინგლისურ ხალხურ ზღაპარს — „დედაბერი და გოჯი". კარგი იქნება თუ მთარგმნელი კვლავ გააგრძელებს ამ კეთილშობილურ საქმეს და მკითხველს ქართულ ენაზე ინგლისური ზღაპრების სრულ კრებულს მიაწვდის.

ვუსურვოთ ახალგაზრდა მთარგმნელს შემდგომი წარმატებანი.

პროფ. მ. ჩიქოვანი

დედაბერი ოთახს ჰგვიდა და ოდნავად გაღუნული ვერცხლის ფული იპოვა.

„რა ვუყო ამ ფულს?—გაიფიქრა მან.— წავალ და გოჯს ვიყიდი", — თქვა და შეასრულა კიდეც.

დედაბერმა გოჯი სახლში წამოიყვანა. გოჯი და დედაბერი გზაზე ერთ ყორეს მიადგნენ, გოჯი გაჯიუტდა, არ გადავიდა ყორეზე. დედაბერმა მიატოვა ის და გზა მარტომ განაგრძო.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, შემოხვდა ძაღლი.

დედაბერმა ძაღლს სთხოვა: — ძაღლო, დაჰკბინე გოჯი, ყორეზე არ გადმოდის, მზის ჩასვლამდე სახლში ვერ მივასწრებ.

ძაღლმა ყური არ ათხოვა.

დედაბერმა გზა განაგრძო. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, შემოხვდა ჯოხი.

დედაბერმა ჯოხს სთხოვა: — ჯოხო, სცემე ძაღლს; ძაღლი არ კბენს გოჯს; გოჯი არ გადმოდის ყორეზე, მზის ჩასვლამდე სახლში ვერ მივასწრებ.

ჯოხმა ყური არ ათხოვა.

დედაბერმა გზა განაგრძო. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, შემოხვდა ცეცხლი.

დედაბერმა ცეცხლს სთხოვა: — ცეცხლო, დაწვი ჯოხი; ჯოხი არ სცემს ძაღლს; ძაღლი არ კბენს გოჯს; გოჯი არ გადმოდის ყორეზე, მზის ჩასვლამდე სახლში ვერ მივასწრებ.

ცეცხლმა ყური არ ათხოვა.

დედაბერმა გზა განაგრძო. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, შემოხვდა წყალი.

დედაბერმა წყალს სთხოვა: — წყალო, ჩაქრე ცეცხლი; ცეცხლი არ სწვავს ჯოხს; ჯოხი არ სცემს ძაღლს; ძაღლი არ კბენს გოჯს; გოჯი არ გადმოდის ყორეზე, მზის ჩასვლამდე სახლში ვერ მივასწრებ.

წყალმა ყური არ ათხოვა.

დედაბერმა გზა განაგრძო. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, შემოხვდა ხარი.

დედაბერმა ხარს სთხოვა: — ხარო, შესვი წყალი; წყალი არ აქრობს ცეცხლს; ცეცხლი არ სწვავს ჯოხს; ჯოხი არ სცემს ძაღლს; ძაღლი არ კბენს გოჯს; გოჯი არ გადმოდის ყორეზე, მზის ჩასვლამდე სახლში ვერ მივასწრებ.

ხარმა ყური არ ათხოვა.

დედაბერმა გზა განაგრძო. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, შემოხვდა ყასაბი.

დედაბერმა ყასაბს სთხოვა: — ყასაბო, დაჭალ ხარი; ხარი არ სვამს წყალს; წყალი არ აქრობს ცეცხლს; ცეცხლი არ სწვავს ჯოხს; ჯოხი არ სცემს ძაღლს; ძაღლი არ კბენს გოჯს; გოჯი არ გადმოდის ყორეზე, მზის ჩასვლამდე სახლში ვერ მივასწრებ.

ყასაბმა ყური არ ათხოვა.

დედაბერმა გზა განაგრძო. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, შემოხვდა თოკი.

დედაბერმა თოკს სთხოვა: — თოკო, მოახრჩვე ყასაბი; ყასაბი არ კლავს ხარს; ხარი არ სვამს წყალს; წყალი არ აქრობს ცეცხლს, ცეცხლი არ სწვავს ჯოხს; ჯოხი არ სცემს ძაღლს; ძაღლი არ კბენს გოჯს; გოჯი არ გადმოდის ყორეზე, მზის ჩასვლამდე სახლში ვერ მივასწრებ.

თოკმა ყური არ ათხოვა.

დედაბერმა გზა განაგრძო. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, შემოხვდა თაგვი.

დედაბერმა თაგვს სთხოვა: — თაგვო, დაღრღენ თოკი; თოკი არ ახრჩობს ყასაბს; ყასაბი არ კლავს ხარს; ხარი არ სვამს წყალს; წყალი არ აქრობს ცეცხლს; ცეცხლი არ სწვავს ჯოხს; ჯოხი არ სცემს ძაღლს; ძაღლი არ კბენს გოჯს; გოჯი არ გადმოდის ყორეზე, მზის ჩასვლამდე სახლში ვერ მივასწრებ.

თაგვმა ყური არ ათხოვა.

დედაბერმა გზა განაგრძო. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, შემოხვდა კატა.

დედაბერმა კატას სთხოვა: — კატავ, შეჭამე თაგვი; თაგვი არ ღრღნის თოკს; თოკი არ ახრჩობს ყასაბს; ყასაბი არ კლავს ხარს; ხარი არ სვამს წყალს; წყალი არ აქრობს ცეცხლს; ცეცხლი არ სწვავს ჯოხს; ჯოხი არ სცემს ძაღლს; ძაღლი არ კბენს გოჯს; გოჯი არ გადმოდის ყორეზე, მზის ჩასვლამდე სახლში ვერ მივასწრებ.

კატამ უთხრა: — შენ, რომ ჩემთვის რძე არ მოგიტანიაო.

დედაბერმა გზა განაგრძო. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მივიდა ძროხასთან და სთხოვა რძე.

ძროხამ უთხრა: — შენ, რომ ჩემთვის თივა არ მოგიტანიაო.

დედაბერმა გზა განაგრძო. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მივიდა თივის ზვინთან. აიღო ერთი იღლია თივა და მიუტანა ძროხას.

ძროხამ მისცა რძე, რძე მიუტანა კატას, კატა დაედევნა თაგვს, თაგვი გამოუდგა თოკს, თოკი ეცა ყასაბს, ყასაბი ეკვეთა ხარს, ხარი მიადგა წყალს, წყალი მიუტანა ცეცხლს, ცეცხლი დაეტანა ჯოხს, ჯოხი ეძგერა ძაღლს, ძაღლი მივარდა გოჯს და შეშინებული გოჯიც ყორეზე გადახტა.

დედაბერი სახლში მზის ჩასვლამდე მივიდა.

ინგლისურიდან თარგმნა
ნატო ბელოვანმა

ჩოგბურთი

როცა გოდებდა იანვრის ქარი,
ჩრდილოეთისკენ მიხმობდა გზა მე,
ღამის წყვდიადმა დამფარა მგზავრი,
სად გამეთია წკვარამი ღამე!

მე ალალბედად ერთ გოგოს შევხვდი,
როცა იმედმა სულმოლად დამტოვა,
მითხრა, ოთახი მზადაა შენთვის,
გამხნევდი, დარდმა ნუკი დაგთოვა!

მე მას მადლობა ვუძღვენი გულით,
მხსნელ ანგელოსად რაკი ჩავთვალე,
მე მას მადლობა ვუძღვენი გულით,
ვთხოვე ლოგინი დაეგო მალე.

და მან დამიგო ლოგინი ფართო,
გულზე მომფინა უცხო სიამე,
დამემშვიდობა, დამტოვა მარტო,
და თან მისურვა მშვიდობის ღამე.

და სანთლით ხელში გავიდა უმალ,
და კვლავ რომ შევრჩი ჩემს სიმარტოვეს,
კვლავ ვუხმე მაშინ არც ისე ჩუმად
და კიდევ ერთი ბალიში ვთხოვე.

ო, დიდხანს როდი დამჭირდა მოცდა,
მყისვე ბალიშით მობრუნდა მხსნელი,
მადლობის ნიშნად რომ მეძღვნა კოცნა,
მაშინვე წელზე მოვხვიე ხელი.

— ო, დააყენე, ჭაბუკო, ხელი,
და იქონიე ზრდილობა ცოტა,
თუმცა მწყურია ალერსი მწველი,
მაინც ქალიშვილს ნუ მახვევ ცოდვას...

თმის მბზინვარება ოქროსი მოჰყვა,
კბილი სპილოსძვალს უგავდა როგორ,
ჰქონდა საოცრად ღაჟღაჟა ლოყა,
მე რომ ლოგინი დამიგო გოგომ.

თოვლის ფიფქივით ქათქათა მკერდი,
ბორცვები ვნებისა აღსავსე როგორ,
ძოწის ბაგენი სულის წამწყმედი...
მე რომ ლოგინი დამიგო გოგომ,

ბაგენი მისნი კოცნით დავფარე
და ვერაფერი შემკადრა, როცა
მე მოვიმწყვდიე კედელთან მდგარი —
ეგ იყო მისი პირველი კოცნა.

და, როცა დილით ავდექით გვიან,
და როცა ვუძღვენ მადლობა წრფელი,
ის გაწითლდა და ცრემლი აფრქვია,
მითხრა: — დამღუპე, ხარ ჩემი მკვლელი.

მოვხვიე ხელი, ვაკოცე ისევ,
ვუთხარ: — ალერსი ცრემლებს ნუ მოგვრის,
და ცუდუბრალოდ დარდებს ნუ ისევ,
მარად შენ ერთი დამიგებ ლოგინს.

მწველ სიყვარულის ალში გამხვია,
გადაიბადრა თვითონაც როგორ,
მერე თვალები ძირს არც დახარა...
მე რომ ლოგინი დამიგო გოგომ,

მე რომ ლოგინი დამიგო გოგომ,
ლამაზმა, სულზე უტკბესმა გოგომ,
ვერ დავივიწყო კუბოს კარამდე,
მე რომ ლოგინი დამიგო გოგომ.

ინგლისურიდან თარგმნა
ვოხე ქარჩავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲘᲣᲛᲝᲠᲘ

ნახატი-ხუმრობები ი. დოიაშვილისა



ასე ტკბილად დამიბერდი!



გილოცავ ახალ წელს!



მეკვლე

ᲘᲣᲛᲝᲠᲘ

ᲝᲠᲘ ᲙᲣᲜᲫᲣᲚᲘ

ხომალდის დაღუპვის შემდეგ მოგზაური ერთმანეთის მეზობლად მდებარე ორ კუნძულს შორის მოხვდა. მოგზაურმა იცოდა, რომ ერთი კუნძულის მოსახლეობა ყოველთვის ტყუილებს ლაპარაკობდა, მეორე კუნძულზე მცხოვრებნი კი არასოდეს არ ცრუობდნენ.

ყოველ კუნძულზე იყო ბაზარი, სადაც მეზობელ კუნძულიდანაც მოდიოდნენ სავაჭროდ.

ერთ-ერთ კუნძულზე ახვლის შემდეგ მოგზაური ბაზარში შევიდა და პირველსავე შემხვედრს ერთი შეკითხვა მისცა. მიღებული მოკლე პასუხის მიხედვით („დიახ“ ან „არა“) მოგზაურმა დაადგინა თუ რომელ კუნძულზე იმყოფებოდა.

მოიფიქრეთ და გვიპასუხეთ: რა შეკითხვა დასვა მოგზაურმა?

ᲝᲗᲮᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲐ

ივანიშვილი, პეტროვი, სიდამონიძე და ვასაძე ერთ ქალაქში ცხოვრობენ. მათი პროფესიებია — აფთიაქარი, ელექტრომონტიორი, გამყიდველი და მილიციელი.

ივანიშვილი და პეტროვი მეზობლები არიან. ისინი სამუშაოზე ერთად მიდიან მანქანით. ივანიშვილი ვასაძეს ყოველთვის უგებს დომინოს. გამყიდველი სამუშაოზე ფეხით დადის. მილიციელი აფთიაქარის მეზობლად არ ცხოვრობს. მილიციელი და ელექტრომონტიორი მხოლოდ ერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს: დილით, ქუჩაში მოძრაობის წესების დარღვევისათვის მილიციელმა დააკავა ელექტრომონტიორი. მილიციელი უფროსია აფთიაქარზე და ელექტრომონტიორზე.

მოიფიქრეთ, ვინ რომელი პროფესიისაა?

ᲝᲗᲮᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ

არკადი, ბორისი, ნიკო და ვლადიმერი ბაგირის გადაწევით ერთობოდნენ.

ბორისმა გადმოწია ბაგირი, რომლის ბოლოს არკადი და ნიკოლოზი ეჭიდებოდნენ. როცა ერთ მხარეს ბორისი და არკადი დადგნენ, მეორე მხარეს კი ვლადიმერი და ნიკოლოზი, ვერც ერთმა წყვილმა ვერ მოახერხა მოწინააღმდეგის გადაძალვა.

ნიკოლოზმა და არკადიმ როგორც კი ადგილები შეინაცვლეს, ვლადიმერმა და არკადიმ ადვილად მიაღწიეს გამარჯვებას.

რომელი მეგობარია ყველაზე ძლიერი? რომლებს უკავიათ მეორე და მესამე ადგილი? ვინ არის ყველაზე სუსტი?

გარეკანის პირველ გვერდზე: ალერსი. ფოტოეტიუდი ს. კილაძისა. მეოთხე გვერდზე: თბილისი ღამით. ფოტო თ. არჩვაძისა

რედაქტორი გ. ნატროშვილი. სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. სააკაშვილი, პ/მგ. მდივანი თ. გოგოლაძე. ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი დ. ნოდია. ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი. კორექტორი ნ. ქუთათელაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV სართ. ტელ. — რედაქტორის 3-34-66, პ/მგ. მდივნის — 9-82-69, განყოფილებების — 3-28-42

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 9/I-64 წ. გამომც. № 19, ქაღ. ზომა 70×108¹/₈. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. საავტორო ფორმათა რაოდ. 4,79. პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 21.000. შეკვ. № 2807, უე 04023

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პ/კ „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. №14.

ცხენოსანი



თავგანწირული ნახტომი



ბრძოლა გემბანზე (ილუსტრაცია ჯ. სტივენსონის მოთხრობისათვის).

პატარა მხატვარი

1957 წელს ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე წავიკითხე წერილი, რომელიც მიტო გორდელაძის ნახატებს ეხებოდა. მიტო მაშინ ხუთი წლის ბიჭუნა იყო. მისი ნახატები, რომლებიც ჟურნალში დაიბეჭდა, მართლაც გვაკვირვებდნენ და გვახარებდნენ.

არ არის ბავშვი, რომელიც ამ ასაკში არ ხატავდეს. ხატავენ ბავშვები თითქმის ყველაფერს, რასაც ხედავენ — ვაშლს, მანქანას, ადამიანს, ბურთს, ყვავილს, ხეს, ცხოველებს. პატარა მიტო გორდელაძეც ამასვე ხატავდა. მხოლოდ მისი ადამიანები მოძრაობდნენ; აგერ ჰაერში ბურთი ავარდნილა, მეომრები ცხენებზე სხედან და მიაჭენებენ, ბავშვები თამაშობენ, ვარდებიან, დგებიან, ეცემიან, გარბიან.

პატარა მიტო, რომელიც ფეხბურთის სტადიონზე ალბათ ხშირად ყოფილა მამასთან, მხატვარ გ. გორდელაძესთან ერთად, შესანიშნავად ანაწილებს და აყენებს ფეხბურთელთა ფიგურებს; ეს კომპოზიციები ყურადღებას იპყრობენ გულწრფელი უშუალობით და მოძრაობის ზუსტი გადმოცემით.

ახლა მიტო უკვე ისეთი პატარა აღარ არის. იგი თორმეტი წლის ბიჭუნაა; მისი „ბავშვობის ნახატები“ უბრალო გატაცება რომ არ იყო და ბიჭუნას ბუნებაში მომავალი მხატვარი ცხოვრობდა, ეს უკვე ნათელია. იგი ხომ „დრომ“ გამოსცადა. მამის მზრუნველ ხელს ალბათ ათასამდე მისი ნამუშევარი აქვს შეგროვებული.

პატარა ბიჭუნას „სახელოსნოს“ დათვალიერებისას, ჩვენ დავინახეთ, რომ ამ წლების განმავლობაში მიტომ მუხლი გაიმაგრა. ნახატები ახლა უკვე მაღალხარისხოვანი და ტექნიკურია, უფრო გაბედული და გააზრებულია ყველა შტრიხი. თემების მრავალფეროვნება ბავშვის გონებრივი ზრდის და მისი ინტერესების გაფართოებაზე ლაპარაკობენ.

ყოჩაღ ბიჭუნა! თუ კი ამ გზით ივლი, და რომ ივლი, ჩვენ კარგად ვიცით, ჩვენ შენი სახით კარგი და საამაყო მამულიშვილი გვეყოლება.

ზურაბ ლეჟავა

მეკობრენი (ილუსტრაცია ლ. ბუსენარის მოთხრობისათვის).

ИНДЕКС 76056

ეროვნული
ბიბლიოთეკა